# საერთო გაზეთი

№34 (539) • 2 ოქტომბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




## აქა ამბავი კვირიკაშვილის ვირიკაშვილობისა და ვირეშმაკობებისა

ბატონო გიორგი, ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრათ: სულ მალე საზღვარგარეთიდან ერთი კაცი აპირებს ჩამოსვლას, რომელიც წვრილად, დეტალურად, დოკუმენტებზე დაყრდნობით აპირებს საქართველოს მოუყვეს თქვენი „შესანიშნავი“ სამეულის მიერ ანაკლიის პორტის მისატაცებლად განხორციელებული მაქინაციები.

## ვინ შეიწყალებს საწყლებს და საბრალოებს, ანუ ქართული მართლმსაჯულების პარადოქსები





ნაცებმა რაც არ უნდა ისტერიკა მოაწყონ, ლავროვის და ზალკალიანის შეხვედრა ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოსთვის

## მამა ბასილი: რატომ არავინ ახსენებს გიგა ბოკერიას, მისი ბრძანებით როგორ ჩაცხრილეს 7 პატიმარი?



## ცრუპენტელები ვერც ქვეყანას ააშენებენ და ვერც პოლიტიკურ ვექტორებს შეცვლიან

## ბორდელები, როგორც უცხო ჯიშის „ქართველების“ გამოსაჩეკი ინკუბატორები



## მამუკა ხაზარაძეში ილია ჭავჭავაძის სული ჩასახლდა?

# აქა ამბავი კვირიკაშვილის ვირიკაშვილობისა და ვირეშმაკობებისა

**ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრათ: სულ მალე საზღვარგარეთიდან ერთი კაცი აპირებს ჩამოსვლას, რომელიც წვრილად, დეტალურად, დოკუმენტებზე დაყრდნობით აპირებს საქართველოს მოუყვეს თქვენი „შესანიშნავი“ სამეულის მიერ ანაკლიის პორტის მისატაცებლად განხორციელებული მაქინაციები. ასე რომ, პოლიტიკაში კი ნუ ძვრებით, ჯობს, სადმე დაიმალოთ!**





გასულ კვირას კვირიკაშვილი მეორედ გამოგვეცხადა.

პირველი გამოცხადება მაშინ იყო, როცა 20 ივნისის პარლამენტში შეჭრის მცდელობის შემდეგ ბიძინა ივანიშვილს ურჩია: თუ გინდათ ქვეყანაში სიტუაცია დამშვიდდეს, გიორგი გახარია დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეთო, თუმცა ბატონმა ბიძინამ ყურად არ იღო „კეთილისმყოფელი“ გიორგის „ბრძნული“ რჩევა და გახარია გადაყენების ნაცვლად პრემიერ-მინისტრად წარადგინა.

როგორც „საერთო გაზეთი“ წერდა, ეს იყო ბოლო ლურსმანი კვირიკაშვილ-ხაზარაძის საძმო კუბოზე, რომელიც კარგა ხანია დასამარხად არის გახაზირებული.

გიორგი კვირიკაშვილის „ბრძნული“ რჩევის ტექსტი რომ წავიკითხე, პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო: ეს კაცი ცოტას ხომ არ მოიდებილებს-მეთქი.

აბა, დებილის გარდა ვის მოუვიდოდა აზრად: — ბიძინა ივანიშვილს ჭკუაში მოვატყუებ, ჩემს მტერს, გახარიას, მოვახსნევინებ, მეც გადავრჩები, ხაზარაძესაც გადავარჩენ და ალავიძე-ქუმსიშვილსაც ვუშველიო.

დაიბარა და უმკაცრესი ბრძანება მისცა: რესპუბლიკური მოედნის ქვეშ ბორდელებია გახსნილი, სადაც არასრულწლოვანებიც ჰყავთ ჩართული. სასწრაფოდ მიიღეთ ზომებიო.

პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა ის კი არ უთხრა შინაგან საქმეთა მინისტრს — ქალაქის ცენტრში ბორდელებია გახსნილი და შენ რომელი შს მინისტრი ხარ, ეს რომ არ იცი, წადი, მოშორდი აქაურობას, მოხსნილი ხარო, არამედ ქმედითი ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

კვირიკაშვილს ვირიკაშვილობის თემამ კიდევ ერთხელ წამოიწია წინ პლანზე, როცა მან „საზეიმო“ ხმით აუწყა საქართველოს, დიდ უბედურებას, დიდ ეროვნულ კატასტროფას გადაგარჩინეთ, — დავიჭირეთ კაცი, რომელიც გერმანიაში მიემგზავრებოდა, რომ იქ პატრიარქი ციანიდით მოეწამლაო.

მაშინათვე გაჩდა კითხვა, ეს ადამიანი, რომელსაც ყოველდღიური კონტაქტები ჰქონდა პატრიარქთან, რაღა გერმანიაში მიდიოდა ამ ბნელი განზრახვის აღსასრულებლად, როცა ამის გაკეთება საქართველოში უფრო ადვილად და უხიფათოდ შეეძლო?

საქმის გამოძიების პროცესში თანდათან გამოიკვეთა კვირიკაშვილის უახლოესი მეგობრის მეუფე იაკობის ფიგურა, რომლის პირად ინტერესებს პირდაპირ უკავშირებდა დეკანოზი მამალაძე მის თავს დამტყდარ უბედურებას.

ეს ის მეუფე იაკობია, რომელიც გიორგი გახარიას დამხობით დაემუქრა (როგორც ამბობენ, საერო ცხოვრებაში მეუფე იაკობს დამხობის და პუტჩისტობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს), შემდეგ კი პრემიერ-მინისტრობიდან დათხოვნილი სულიერი ძმა, გიორგი თავისთან წაიყვანა მონასტერში, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კვირიკაშვილზე ცუდად აღრენილი ხელისუფლების რისხვისგან დაეფარა.

დეკანოზ მამალაძის საქმის გამოძიება დამთავრდა, დეკანოზს ცხრა წელი მიუსაჯეს, თუმცა მისი ახლობლების მტკიცებით, დეკანოზი აბსოლუტურად უდანაშაულოა.

გამოძიებას არ დაუდგენია, ამ საქმესთან დაკავშირებით, რა საერთო ინტერესები ჰქონდათ პრემიერ-მინისტრს და მეუფე იაკობს და ხომ არ შეეწირა დეკანოზი მამალაძე იმ მამხილებელ მასალებს, რომლებშიც დეკანოზი კორუფციის, ქონების მიტაცების არაერთ საგანგაშო ფაქტზე ლაპარაკობდა?

როგორც ამბობენ, ამ მასალებში ნათლად იკვეთებოდა კორუფციული გარიგებების დანაშაულებრივი კვალი, ეკლესიას და მთავრობას შორის, თუმცა ამის შესახებ გამოძიებას არაფერი უთქვამს.

დეკანოზი მამალაძის საქმე ისეთი საქმეა, რომელსაც რამდენი ნაცარიც არ უნდა წააყარონ, ადრე თუ გვიან, მაინც გამოაშკარავდება ის უბინძურესი საიდუმლო, ის შემზარავი ცინიზმით შეთითხნილი სიცრუე, ის არაადამიანური სისასტიკე, რითაც დეკანოზს გაუსწორდნენ.

როგორც ზემოთ ვთქვით, გარეგნულად გიორგი კვირიკაშვილი წესიერ, კეთილსინდისიერ, პატიოსან, გაწონასწორებულ პიროვნებას ჰგავს; მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული და ზერელე შთაბეჭდილებაა, გარსია, რომლის შიგნით საკმაოდ გაიძვერა, ეშმაკი და არასაიმედო პიროვნება იმალება.

ცხვრის ქურქში გახვეული მგელიო, იტყვიან ასეთ დროს, თუმცა კვირიკაშვილს ტურა უფრო ეთქმის, ვიდრე მგელი.

ბიძინა ივანიშვილს, კვირიკაშვილთან დაკავშირებით, ხშირად საყვედურობენ ხოლმე: თავიდანვე რატომ ვერ გამოიცნო და რატომ ვერ მიხვდა, ვინ იმალებოდა ცხვრის ქურქის მიღმაო?

უსაფუძვლო და უსამართლო საყვედურია ეს, რადგან კვირიკაშვილი იმ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნება, რომელთა ამოცნობა და გაშიფვრა საკმაოდ რთულია, სანამ ისინი აქტიურ მოქმედებებს არ დაიწყებენ და თვითონვე არ გაშიფრავენ საკუთარ თავს.

უკვე ცნობილია, რომ როცა გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ის დაუყოვნებლივ შეუდგა საკუთარი, პერსონალური გუნდის შემოკრებას და ჩამოყალიბებას.

ამ გუნდის წევრობისთვის სულაც არ იყო აუცილებელი მაინცდამაინც „ქართული ოცნების“, ან ბიძინა ივანიშვილის ერთგული მხარდამჭერი ყოფილიყავი.

პირიქით, უპირატესობა იმ ადამიანებს ენიჭებოდათ, ვინც კრიტიკულად და სკეპტიკურად იყო განწყობილი სახელისუფლო პარტიის და ივანიშვილის მიმართ.

კვირიკაშვილი მომავლისთვის ემზადებოდა, ის ემზადებოდა იმ დღისთვის, როცა შეიძლებოდა მისი და ბიძინა ივანიშვილის გზები გაყრილიყო და დღის წესრიგში მისი პრეიერ-მინისტრობიდან წასვლის საკითხი დამდგარიყო.

აი, ამ საბედისწერო მომენტისთვის, მას სურდა უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონოდა, ვიდრე ივანიშვილს, რაც მას საშუალებას მისცემდა, არ შეესრულებინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, არ

სხვისი ხელით ნარის გლეჯა ჰქვია იმას, რაც „ჭკვიანმა“ კვირიკაშვილმა მოინდომა, იმაზე კი არ დაფიქრდა, ბიძინა ივანიშვილი კვირიკაშვილის მოჯამაგირე ხომ არ არის, რომ მისი ნარ-ეკლის გლეჯით გადაიტყავოს ხელისგულები.

კვირიკაშვილის ვირიკაშვილობას და და ვირეშმაკობას ვინ ჭამს, რომ ბიძინა ივანიშვილს ეჭამა?

როგორც ჩანს, ჭკუა და გონიერება ვიზუალური „ტეხასმოტრით“, არ გამოიცნობა.

კვირიკაშვილის გონიერებაში პირველად მაშინ შემეპარა ეჭვი, რესპუბლიკის მოედნის ქვეშ უცხოელების მიერ დაარსებული ბორდელები რომ აღმოაჩინა და გულდაწყვეტილმა რომ განაცხადა: ქართველ მამაკაცებს არ უშვებენ შიგო.

მერე ამ სულელური ნათქვამის გამოსწორება იმით სცადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

დამორჩილებოდა მის ნებას.

**კვირიკაშვილი, ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ასპარეზიდან გაძევებისთვის, სასახლის კარის შიდა გადატრიალებისთვის ემზადებოდა და თანამოაზრეების გუნდსაც ნელ-ნელა და მიზანმიმართულად აფართოებდა, როგორც სახელისუფლო სტრუქტურებში, ასევე პარლამენტში, ბიზნესსექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საეკლესიო წრეებში, მედიაში.**

„საერთო გაზეთმა“ ჯერ კიდევ მაშინ, როცა კვირიკაშვილს ღალატის ჯერ არაფერი ეტყობოდა, ერთ უცნაურ გარემოებას მიაქცია ყურადღება და ამის შესახებ წერილიც გამოაქვეყნა.

საქმე ეხებოდა „ქართული ოცნებისადმი“ განსაკუთრებული აგრესიით გამორჩეული „რუსთავი-2“-ის ლოაიალურ დამოკიდებულებას მთავრობის მუშაობისადმი.

იმდენად ხაზგასმულად კეთილგანწყობილი იყო ეს დამოკიდებულება და ისე შუქდებოდა კვირიკაშვილის საქმიანობა, რომ არ გცოდნოდა რას წარმოადგენდა „რუსთავი-2“-ი, შეიძლება გეფიქრა, რომ „რუსთავი-2“ სამთავრობო ტელეარხი იყო.

ასე გრძელდებოდა დილის „კურიერიდან“ საღამოს 9 საათის „კურიერის“ ჩათვლით, მერე კი იწყებოდა ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინება.

არ გჯერათ, რომ ასე იყო?

გადაახვიეთ, ბატონებო და ნახავთ, რომ არაფერს ვიგონებთ.

კვირიკაშვილი დღეს თავს იკატუნებს და აცხადებს, რომ ივანიშვილის მიმართ მას არანაირი ბნელი ზრახვები არ ჰქონია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს.

„ის ისტორია და ზღაპრები, რომ თითქოს, მე და მამუკა ხაზარაძე წელიწადნახევრის წინ რაღაცებს ვაპირებდით, ეს არის მოგონილი კონკრეტული ადამიანების, რომლებსაც ამ მითის მოგონება აწყოდათ, მათი მოგონილი და დაწერილია ეს ზღაპარი. ამაში ძალიან სამწუხარო ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილმა ეს არათუ დაიჯერა, არამედ მთელი თავისი მოქმედებები ააწყო ამ მითებზე“, — ამბობს ყოფილი პრემიერი.

ის, რასაც კვირიკაშვილი დღეს ზღაპრებს და მითებს უწოდება, სინამდვილეში, არც ზღაპარი იყო და არც მითი, ეს იყო კარგად დაგეგმილი, ფართომასშტაბიანი გეგმა ბიძინა ივანიშვილის გავლენების დასასუსტებლად და შესაკვეცად, რასაც, საბოლოო ჯამში, ივანიშვილის სრული იზოლაცია და ჩამოშორება უნდა მოჰყოლოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან.

კვირიკაშვილი საქართველოს მასშტაბებით არ დაკმაყოფილდა და საერთაშორისო არენაზე ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების ადმინისტრაციებთანაც დაიწყო ინტენსიური მუშაობა.

როგორც ამბობენ, ის მოურიდებლად აბეზღებდა ბიძინა ივანიშვილს: რომ ივანიშვილი არაფორმალური მმართველია, რომ ის ხელს უშლის და საშუალებას არ აძლევს მას განახორციელოს რეფორმები, მიიღოს მკვეთრი და ეფექტური გადაწყვეტილებები.

ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად, გეგმის მიხედვით მიდიოდა, სანამ მიზნისკენ ტრიუმფალურად მიმავალ გზაზე პირველი დაბრკოლება არ გამოეჩხირა გიორგი გახარიას სახით.

●

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი — ეს ის თემაა, რომელიც გიორგი კვირიკაშვილის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, როგორც პრემიერ-მინისტრის ხელისუფლებაში დიდხანს, ძალიან დიდხანს ყოფნის მყარი გარანტი და საძირკველი უნდა ყოფილიყო.

კვირიკაშვილმა შესანიშნავად იცოდა, ვინც ანაკლიის პორტის მშენებლობის ისტორიულ მისიას შეასრულებდა, მას ასე ადვილად ხელს ვერავინ წამოჰკრავდა.

— მე ქვეყანას ძალიან პატიოსნად ვემსახურე და დღემდე ასე ვაგრძელებო, — ამჟამად კი აცხადებს ბატონი კვირიკაშვილი, მაგრამ ის, რაც მან ანაკლიის პორტთან დაკავშირებით მოიმოქმედა, ეს არის უპატიოსნობის, თაღლითობის, სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფის, „დელეცობის“ კლასიკური ნიმუში, რაც აუცილებლად უნდა გახდეს სერიოზული და კვალიფიციური გამოძიების საგანი.

კვირიკაშვილმა, ქუმსიშვილთან ერთად, წარმოუდგენელი ოინები ჩაატარა იმისთვის, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში მისი მეგობრის და პარტნიორის მამუკა ხაზარაძის ახლად შექმნილ კომპანიას გაემარჯვა, რომელსაც, ცხადია, არც პორტის მშენებლობის გამოცდილება ჰქონდა და როგორც მალევე გაირკვა, არც ამ გრანდიოზული მშენებლობისთვის საჭირო თანხები გააჩნდა.

კვირიკაშვილმა და ქუმსიშვილმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდნენ, რომ ხაზარაძის სახელდახელოდ შეკოწიწებული კონსორციუმი, მის პარტნიორ „კონტი ჯგუფთან“ ერთად, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სატყუარას ფუნქციას ასრულებდა, ანაკლიის პორტს ვერ ააშენებდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი — მთავარი იყო როგორმე ხელში ჩაეგდოთ ანაკლიის პორტის მშენებლობის ნებართვა, მერე კი რაღაცას მოახლაფორთებდნენ.

ტენდერში მონაწილე 20 კომპანიიდან ფინიშს სწორზე ორი დარჩა — ხაზარაძის კანტორა „რქები და ჩლიქები“ და წელიწადში 70 მილიარდი დოლარის ბრუნვის მქონე „პაუერ ჩაინა“, რომელსაც იმდენი უკირკიტა, ისეთი ხელოვნური წინაღობები შეუქმნა კვირიკაშვილ-ქუმსიშვილის დუეტმა, რომ გააქციეს, თუმცა კვირიკაშვილმა და ქუმსიშვილმა საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს „პაუერ ჩაინამ“ ბოლო მომენტში თვითონ განაცხადა უარი ტენდერში მონაწილეობის გაგრძელებაზე.

ასე დარჩა ბურთი და მოედანი კვირიკაშვილ-ქუმსიშვილის ფავორიტ ხაზარაძეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა განწირული იყო მარცხისთვის.

რაც შემდეგ მოხდა, კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის: ხაზარაძემ ფინანსური ვალდებულებები ვერ შეასრულა, ვერც ინვესტორები მოიზიდა, კონტიც განზე გადგა და პორტის მშენებლობა საწყის ეტაპზევე გაიჭედა.

აი, ამ დროს გადაწყვიტეს კვირიკაშვილმა და ქუმსიშვილმა გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმაკაცს წაშველებოდნენ და ბიუჯეტისკენ გააპარეს ხელი, მაგრამ წინ „არამკითხე“ გიორგი გახარია აესვეტათ...

ასე ჩაიშალა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ანაკლიის პორტის „ლევად“ აშენების აფიორა, რომელსაც კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის „შესანიშნავი“ სამეული გეგმავდა.

სწორედ ეს სამეულია ანაკლიის პორტის ნომერ პირველი მტერი და არა ივანიშვილი, როგორც ამას ხაზარაძე აცხადებს, რომელსაც, როგორც ჩანს, შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი და ყოველი ფეხის ნაბიჯზე უნამუსოდ იტყუება.

შუბლის ძარღვი აქვს გაწყვეტილი კვირიკაშვილსაც, ქუმსიშვილს კი, როგორც ხმები დადის, შუბლის ძარღვი დაბადებიდანვე არ აქვს — დეფექტით დაიბადა.

აი, ეს სამი შუბლისძარღვგაწყვეტილი უნამუსო, რომლებსაც ანაკლიის პორტის თაღლითურად მიტაცების გეგმა დინამიტივით აუფეთქდათ, ბედავენ და ხელს სხვისკენ იშვერენ.

ისმის კითხვა: ახლა რატომ გამოგვეცხადა კვირიკაშვილი მეორედ?

— იმიტომ რომ, როგორც ქვეყნის მოქალაქე და ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თავს ვალდებულად ვთვლი, ჩემი აქტიური მოქალაქეობრივი და პოლიტიკური პოზიცია გამოვხატო. ზოგი ამბობს, თითქოს დამაშინეს, მაგრამ ვგავარ მე შეშინებულ კაცს? — ამბობს კვირიკაშვილი.

კი, გავხართ, ბატონო გიორგი, ძალიან შეშინებულ კაცს გავხართ და იმასაც გეტყვით, რისი გეშინიათ — დაჭერის გეშინიათ და ამის გამო ცდილობთ, პოლიტიკაში შემოასწროთ, როგორც ეს თქვენმა „პადელნიკმა“ ხაზარაძემ გააკეთა, რომ მერე პოლიტიკოსის სტატუსით დაიზღვიოთ თავი.

არ გამოგივათ თქვენ ეს საქმე, პატივცემულო გიორგი, არც თქვენ გამოგივათ არაფერი და არც თქვენს მეგობარ ხაზარაძეს.

ბოლოს ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრათ და ამით დავამთავრებ: სულ მალე საზღვარგარეთიდან ერთი კაცი აპირებს ჩამოსვლას, რომელმაც უზარმაზარი ენერგია, დრო, ფინანსები შეალია იმას, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის თქვენსავით ქალღალდზე შეკოწიწებული ფსევდო-ინვესტორები კი არა, სერიოზული ინვესტორი მოეძიებინა. მოიძია კიდევაც, მაგრამ თქვენმა „სამეულმა“ თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ჩაშალა და ინვესტორი იძულებული გახდა თავის 70 მილიარდიანად ქვეყნიდან წასულიყო.

ეს კაცი წვრილად, დეტალურად, დოკუმენტებზე დაყრდნობით აპირებს საქართველოს მოუყვეს თქვენი „შესანიშნავი“ სამეულის მიერ ანაკლიის პორტის მისატაცებლად განხორციელებული მაქინაციები.

ასე რომ, პოლიტიკაში კი ნუ ძვრებით, ჯობს, სადმე დაიმალოთ!.

თქვენ სულიერ ძმას, მეუფე იაკობს, ექნება სადმე შავი დღისთვის გადანახული კომფორტული მღვიმე. სთხოვეთ და დაგმალავთ, რა პრობლემაა?!

**„საერთო გაზეთი“**







# მატყუარები და ცრუპენტელები ვერც ქვეყანას ააშენებენ და ვერც პოლიტიკურ ვექტორებს შეცვლიან

*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში*
*მამუკა არეშიძე:*

**— ბატონო მამუკა, დიდი ხნის პაუზის შემდეგ გიორგი კვირიკაშვილი მედიასთან გამოჩნდა და განაცხადა: ივანიშვილს ზედმეტად ჭარბი ძალაუფლება აქვს. მან დაიჯერა, რომ ცალკე პოლიტიკურ ცენტრს ვქმნიდი, არადა რეალურად, მისმა გარემოცვამ შეცდომაში შეიყვანა, ცილი დამწამესო.**

— კვირიკაშვილი საჯარო ფიგურა არასდროს ყოფილა. მისი აქტიურობა მაშინაც კი არ მახსოვს როცა დეპუტატი იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მას უფრო მეტად წყენა ალაპარაკებს, ვიდრე აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი. თქვა კიდეც: პოლიტიკაში არ დავბრუნდებიო. იგი, ყოველთვის, ჩრდილში დგომის მომხრე უფრო იყო, ვიდრე აქტიურ პოლიტიკაში ყოფნის. ასე, რომ ვერ გეტყვით, შეიძლება, კულუარებში ყოფნა არჩიოს ან რომელიმე



პარტიის, მაგალითად, ხაზარაძის გუნდის უკან მოიაზრებოდეს. რაც შეეხება მის განცხადებებს, ცოტა უცნაურია. დამკვიდრდა პრაქტიკა: როცა ადამიანები პოლიტიკიდან მიდიან, პარტიის მინუსებზე ლაპარაკს მერე იწყებენ. თუმცა, ამასაც აქვს გამართლება. მას, ყოველთვის, შეუძლია თქვას: როცა დავინახე პარტიაში რა მინუსები იყო, მაშინ წავედიო. რამდენადაც ვიცი, იგი ამ პოსტიდან თავისი ნებით არ წასულა. პარტიიდან შეიძლება მართლაც თავისი ნებით წავიდა. მაგალითად, მე, 2014 წელს ჩემი ნებით წამოვედი იმიტომ, რომ ვხედავდი: დაპირებები არ სრულდებოდა. პარტიამ გასცა გარკვეული დაპირებები, რასაც მეც ვპირდებოდი ხალხს, მაგრამ ვერ ვასრულებდი. ამ ყველაფერზე, ხალხმა, პასუხი მომთხოვა. მიუხედავად იმისა რომ დეპუტატი არ ვიყავი, იძულებული გავხდი პარტიიდან წამოვსულიყავი. თუმცა, ისევ იმ იდეალების მხარდამჭერად ვრჩები, რითაც 2012 წელს „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა. იმედი მაქვს, 2020 წლის არჩევნებზე მაინც შეიცვლება სიტუაცია იმ მხრივ, რომ გაცემული დაპირებების გააქტიურება მოხდება. რაღაცები შესრულდა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდა და სახეზე გვაქვს ისევ კოაბიტაცია. დავუბრუნდეთ კვირიკაშვილს, მისი ორაზროვანი მდგომარეობა, მაინცდამაინც, სასიამოვნო საყურებელი და მოსასმენი არ არის. იგი პრემიერი გახლდათ და შეეძლო ქვეყანაში არსებული მდგომარეობა გამოესწორებინა, სამართლიანობის აღდგენის პროცესიც გაეაქტიურებინა, ბოლოსდაბოლოს, იგი პარტიის თავმჯდომარე იყო და მძლავრი, ეკონომიკური ბაზის მომზადებაც არ უნდა გასჭირვებოდა, რაც შემდგომში თავის შედეგს მოიტანდა. მაგრამ ეს არ გააკეთა. ახლა, ლაპარაკი იმაზე, რომ პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს, უაზროდ მეჩვენება. რაც შეეხება ივანიშვილის გარემოცვას, დიახ, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ უფროსს მხოლოდ სასიამოვნო ან არასწორი ინფორმაცია მიაწოდონ, რათა თავად გამოჩდნენ საქმის მკეთებელნი და კარგი ხალხი. თუმცა, ნებისმიერი ხელმძღვანელის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ ტყუილ-მართალი გაარჩიოს და ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს იმ პროცესების შესახებ, რაც ქვეყანაში ვითარდება. მატყუარებმა თავიანთი სიცრუით ამ პროცესს ხელი ვერ უნდა შეუშალონ.

**— ყოფილმა პრემიერმა ასევე, განაცხადა: ივანიშვილი არ არის მოსკოვის კაცი, მაგრამ გადაწყვეტილებები რაც აქ მიიღება, დასავლეთს ძალიან გვაშორებსო.**

— აი, მაგ საკითხში, აბსოლუტურად, არ ვეთანხმები. იმიტომ, რომ პირიქით, ზოგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება რასაც საქართველოს ხელისუფლება იღებს პროდასავლურია და ქვეყნისთვის ხელისშემშლელიც კი არის, მაგრამ გარკვეული გარემოებები ამ ნაბიჯის გადადგმას აიძულებს. ეს ოპოზიციის ნარატივია — ივანიშვილი პროდასავლელი არ არის, მისი გუნდი პრორუსულია და არიქა, ვიღუპებითო. ამ ნარატივს კვირიკაშვილი არ უნდა აჰყოლოდა, მაგრამ რატომღაც აჰყვა. რა გითხრათ, თავისი საქმის თვითონ იცის.

**— გამოითქვა მოსაზრება, რომ მამუკა ხაზარაძე, მეუფე იაკობი და გიორგი კვირიკაშვილი პოლიტიკურ ცენტრს ქმნიან, რაც მთავარი პოლიტიკური ძალა გახდებაო. ეს რამდენად რეალურად გესახებათ?**

— არ გამოვა, ჩემო კარგო, მათი მთავარ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება. „ნაცმოძრაობა", მისი სატელიტები ან თუნდაც, „ქართული ოცნება" მათი მოკავშირე რომ გახდეს, ეს ამბავი, მაინც არ გამოვა. ჯერ ერთი, მამუკა ხაზარაძის ბიოგრაფიაში ძალიან სერიოზული ხარვეზებია, რაც ხალხს ძალიან კარგად ახსოვს. ხაზარაძის გუნდი სადაც არ უნდა მივიდეს სააგიტაციოდ, აუცილებლად, ყველგან დახვდებათ სამი-ოთხი ადამიანი, რომელიც „თი-ბი-სი" ბანკის ვალების გამო ბინიდან გამოსახლებულია და აქედან გამომდინარე, ბანკზეც, პირადად მამუკა ხაზარაძეზეც გულნატკენი და გაბრაზებულია. კი ბატონო, ამ ადამიანებმა სესხი თავისი ნებით აიღეს, მაგრამ ყველაფერს თავისი ფორმა აქვს. ქვეყანაში ფორსმაჟორული სიტუაციების მიუხედავად (ხშირ შემთხვევაში ადამიანები ლარის კურსის ვარდნაზე არიან დამოკიდებულნი, გადავიტანეთ ომი), ასეთ სიტუაციაში მსხვილი ბანკები პოლიტიკას, საერთოდ, არ ცვლიდნენ. ძალიან კარგად მახსოვს: გაგანია ომის დროს ჯარისკაცებს სმსები მისდიოდათ: სესხის პროცენტის გადახდა არ დააგვიანოთო. მერე, ხელისუფლება იძულებული ხდება ხალხს ხან ვალები ჩამოაწეროს, ხან რა და ხან რა. ეს ადამიანებს კარგად ახსოვს. ამდენად, ძალიან რთული იქნება ხალხის გადარწმუნება, რომ ხაზარაძის გუნდს ქვეყნის მშენებლობაში სერიოზული წვლილის შეტანა შეუძლია.

ჩემი ინფორმაციით, არსებობდა უმსხვილესი ჩინური კომპანია, რომლის ბრუნვა 72 მილიარდი იყო და მას ეს პროექტი უნდა განეხორციელებინა. კვირიკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩინურ კომპანიას შედეგი ვერ მიეღო და ხაზარაძის კომპანიას გაემარჯვა. მოკლედ რომ ვთქვა: ამ საქმეს თავიდანვე აფიორის სუნი დაჰკრავს, რაც საწყენია. თავიდან ხაზარაძეს მხარს ვუჭერდი, ვფიქრობდი: რაღა სხვამ, ქართულმა მხარემ გააკეთოსთქო, მაგრამ საქმე მთლად ასე არ ყოფილა. საბოლოო ჯამში ასე გამოჩნდა: მთავარი იყო ტენდერში გამარჯვება და ფულის და პარტნიორების ძებნა, მერე დაიწყეს.

**— კვირიკაშვილი ჯიუტად იმეორებს: მსხვერპლი ვარ, ცილი დამწამესო. თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა შეცდომები დაუშვა მან პრემიერად ყოფნის დროს?**

— შეცდომა იყო, პირველ რიგში, ის, რომ მან ინფრასტრუქტურის მინისტრად დანიშნა ადამიანი, რომელიც ამის ღირსი ნამდვილად არ იყო. შეცდომები იყო დაშვებული იმ თვალსაზრისითაც, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებიდან დიდ წილი სხვის ჯიბეებში მიდიოდა.



ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ კვირიკაშვილის ჯიბეში მიდიოდა. მისი გუნდიდან ორმა-სამმა კაცმა ფულის კეთება დაიწყო, ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხა დაიკარგა. კვირიკაშვილს ამაზე მორალური პასუხისმგებლობა მაინც უნდა აიღოს. როცა იძახის: შეცდომა არ დამიშვიაო, რბილად რომ ვთქვათ, ეს ტყუილია. თუნდაც, შეცდომა იყო ამ ტიპის კადრების შერჩევა, რომელთაც მასვე წყალი შეუყენეს.

**— კვირიკაშვილი როცა ამერიკაში პომპეოს შეხვდა, ჩვენი ქვეყნის მმართველობაში არსებულ ხარვეზებზე ისაუბრა და აღნიშნა: ივანიშვილი საშუალებას არ მაძლევს ხარვეზები გამოვასწოროო. ეს რაზე მიუთითებს?**

— ყურმოკვრით ვიცი, რომ ეს საუბარი შედგა, მაგრამ მის შინაარსზე ვერაფერს გეტყვით. მე, სხვა რამ მინდა ვთქვა: როცა პრემიერმინისტრი ხარ და ხედავ, რომ საქმიანობაში გზღუდავენ, ქუდი უნდა დაიხურო, წახვიდე და კარები ხმამაღლა გაიჯახუნო.

**— კარგით მაშინ გვითხარით, რა ვითარებაა პოლიტიკურ არენაზე — პოლიტიკური სპექტრი რა სახით ყალიბდება?**

— მესმის საუბრები: პოლიტიკური ველი ცარიელიაო. არ არის ასე, პირიქით, გადავსებულია. ახალ-ახალი ჯგუფები და პარტიები იქმნება. პოლიტიკური ველი კი არა, პოლიტიკური იდეა ცარიელი. პოლიტიკური იდეის თაროზე, აბსოლუტური, სიცარიელეა — იდეები საერთოდ არ დევს. ადამიანებს რომლებიც პოლიტიკაში მოდიან, აქვთ ლოზუნგი — მე კარგი ვარ, ის — ცუდია. ყველაფერი აქამდე დადის — მათ ვერ იმუშავეს, მე — გამოვასწორებ. როგორ გამოასწორებ, რას გააკეთებ, ეს არ ისმის. არის რამდენიმე პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ნაკლებად ჩანს, მაგრამ აქვს იდეები, ხშირ შემთხვევაში, ძალიან კარგად დამუშავებული, მაგრამ ლიდერები ჰყავს არაქარიზმატული და მათი იდეები საზოგადოებამდე ვერ მიდის.

ხალხს ეროვნული იდეა სჭირდება, რაც ქვეყნის კონსოლიდაციასა და გაერთიანებას შეუწყობს ხელს. ვგულისხმობ, სულიერ იდეას, რაც ხალხს აიძულებს კონკრეტულ ადამიანს გაჰყვეს. ასეთი იდეები, სამწუხაროდ, ცოტაა. პრაქტიკულად, იდეური თარო ცარიელია.

**— ბატონო მამუკა, „არა ოკუპაციას" ორგანიზატორებმა სტრატეგია შეცვალეს: აქციები შეწყვიტეს და არჩევნების გზით აპირებენ მოგებას. როგორია მათი შანსები?**

— რიგითის თვალით რომ შევხედოთ, პროცესში ჩართულნი არიან ერთი მხრივ, ახალგაზრდების ჯგუფი, მართლაც პატრიოტები და კონკრეტული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები. სინამდვილეში, ასე არ არის. მათ უკან სერიოზული ხალხი დგას, რომლებიც დიდ თანხას იხდიან და ძლიერ პიარ-ჯგუფებს ქირაობენ. აქციის მონაწილეების სტრატეგიასა და მოქმედების დრამატურგიას ქმნიან პოლიტიკური პარტიები ეს იქნება „ნაცმოძრაობა" თუ „ევროპული საქართველო". მათ განაცხადეს: კარდაკარ უნდა ვიაროთო. ეს კარგად ნააზრევი და პიარ-გეგმის ნაწილია. ამის კეთებას დაიწყებენ, თუ რა შედეგი ექნებათ დამოკიდებულია იმაზე, ხალხი როგორ მიიღებს და აღიქვამს. ჩემთვის, ეს აქცია, უკვე გაუბრალოვდა. აქამდე, ახალგაზრდების რუსთაველზე ყოფნა ჩემთვის, გარკვეულწილად, გახსენება იყო იმისა, რაც საქართველოში ადრე ხდებოდა. მიხაროდა კიდეც ახალგაზრდები ოკუპაციის თემითა და დაკარგული ტერიტორიებით რომ დაინტერესდნენ. მერე, ეს ყველაფერი პოლიტიკურ კონიუნქტურაში გადავიდა. გარდა ამისა, თავისთავად, ლოზუნგი და აქციის დასახელება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. დასახელება არის „ანტიოკუპაციო აქცია", ლოზუნგი — „გაზარია გადადგეს". ლოგიკა ამ ორ ცნებაში არ არის — გაზარია რომ გადადგება ოკუპაცია დამთავრდება?! — ეს ხომ სისულელეა.



6 გვ.

# ბორდელები, როგორც უცხო ჯიშის „ქართველების“ გამოსაჩეკი ინკუბატორები

## ემუქრება თუ არა საქართველოს დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხე?



მოგეხსენებათ, წლებია აქტიურად მიდის საუბარი, რომ აჭარის შავიზღვისპირეთი, განსაკუთრებით სარფი-ბათუმის მონაკვეთი „ეპიცენტრით“ გონიო, პროსტიტუციის „სავანედ“ არის ქცეული. ეს „ბიზნესი“ მას შემდეგ „აყვავდა“ და „გაიფურჩქნა“, რაც ნაციონალებმა აჭარა გაათავისუფლეს. გონიოელებს არა ერთხელ გაუმართავთ საპროტესტო აქცია ნაციონალების მმართველობის დროსაც და შემდგომაც იმ მიწების დაბრუნება-დაკანონების მოთხოვნით, რომელიც 2008 წელს ჯერ ვითომ აჩუქა, თუმცა მოკლე ხანში ჩამოართვა. მოსახლეობა პარალელურად უკანონო ბორდელების არსებობასაც აპროტესტებდა, თუმცა უშედეგოდ. გონიოს მოსახლეობამ 2012 წლის სექტემბერში, ნაცხელისუფლება უკანასკნელ დღეებს რომ ითვლიდა, მაშინაც გამოვიდა სოკოებივით მომრავლებული ბორდელების წინააღმდეგ. მაშინდელი პრესა წერდა, რომ გონიო არაერთი სექსმუშაკის, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული ქალების თავშესაფარი გახდა. ისინი ბარებსა და ღამის კლუბებში მუშაობენ და ძირითადად, თურქული ეროვნების „კლიენტურას“ ემსახურებიანო. ამ კლუბებიდან გამოსული ხმამაღალი მუსიკა, მთელი ღამე ძილის საშუალებას რომ არ აძლევდა იქაურებს, ეს ერთია, გონიოელები იმასაც ჩიოდნენ, ამ საეჭვო რეპუტაციის კლუბებისა და სასტუმროების არსებობამ, მით უმეტეს მათმა სიმრავლემ, დამსვენებლები შეამცირა, სატვირთო ავტომანქანების, გადამთიელების სიმრავლისა და პროსტიტუციის გამო, აქ დასვენება აღარავის უნდაო. ერთ-ერთი ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი შეეცადა ტრეფიკინგისა და მისი მსხვერპლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის დადასტურებას, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ქალების უმრავლესობამ ამ თემაზე ღიად საუბარი არ ისურვა. ისინი ადასტურებენ, რომ ე.წ. დამსაქმებლებმა პასპორტები ძალით წაართვეს, მაგრამ ამას საჯაროდ არ აცხადებენ, იმ მოტივით, რომ არავის ენდობიან, სამუშაოს დაკარგვის და დეპორტაციის ეშინიათ.



„საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა სანდო წყარომ ძალზე საგანგაშო ინფორმაცია მიაწოდა, უბედურება მარტო არალეგალური ბორდელების სიმრავლე კი არ არის, ამ „იმპორტირებული“ სექსმუშაკების ხარჯზე, აჭარას და მთლიანად საქართველოს სერიოზული დემოგრაფიული ექსპანსია ემუქრება, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით. 2012 წლის ზაფხულში პრესაში გამოქვეყნდა „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის არჩილ კაიკაციშვილის ინტერვიუ, სადაც ის აცხადებდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2012 წლის ანგარიშში, რომელიც 186 ქვეყანას მოიცავდა, საქართველო ტრეფიკინგის წყაროდ და ტრანზიტულ ქვეყნად იყო დასახელებული. აქ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, კრიტიკული შეფასება ჰქონდა გამოთქმული ევროკონვენციის მონიტორინგის ჯგუფსაც, საქართველო ტრეფიკინგის წინააღმდეგ საერთაშორისო შეთანხმებების მონაწილე ქვეყანაა და ვალდებულია საკუთარ ტერიტორიაზე ებრძოლოს ამ მოვლენასო. საიდუმლო სასტუმროები გონიოში დეპორტირებული შუა აზიელი ქალები, ამ თემასთან დაკავშირებით, ადვოკატი არჩილ კაიკაციშვილის შეფასება ასეთი იყო, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში ტრეფიკინგის არსებობის და იქ გაშლილი კრიმინალური ბიზნესის დაუსჯელობის გამო, საქართველო საერთაშორისო სკანდალის წინაშე იმყოფებოდა. გამოსაძიებელია გონიოში არსებული დაახლოებით 27 სასტუმროს, რომელთა მფლობელებიც თურქეთის მოქალაქეები არიან, რეალური დანიშნულება. ადგილობრივები ამბობდნენ, რომ ეს იყო არაოფიციალური ბორდელები, სადაც შუა აზიის ქვეყნებიდან, უმეტესწილად უზბეკეთიდან ჩამოსული 500-მდე ქალი მუშაობდა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შორის, თურქეთიდან დეპორტირებული ყაზახი, უზბეკი, ტაჯიკი, დაღესტნელი, უკრაინელი და აზერბაიჯანელი ქალებიც არიან. მათ აიძულებენ იმ თურქი მძღოლების „მომსახურებას“, რომლებიც ამ სასტუმროებში მოსასვენებლად ჩერდებიან. იმ პერიოდში ტრეფიკინგის ბოლო შემთხვევა ერთ-ერთი ორგანიზაციის მოკვლევის შედეგად გამომჟღავნდა, ჩოლოქთან მდებარე თურქეთის მოქალაქის კუთვნილ შენობის პირველ სართულზე ავტოგასამართი სადგური იყო, მეორეზე ე.წ. სასტუმრო, სადაც ტრეფიკინგის მსხვერპლნი ცხოვრობდნენ. აქ თურქი მძღოლები მუდმივად ჩერდებოდნენ და ხსენებულ სექსმუშაკთა „სერვისითაც“ სარგებლობდნენ. გონიოლები ამბობენ, ამ „იდუმალ“ სასტუმროებში თურქი მაღალჩინოსნებიც ხშირად ჩერდებიანო. გონიოელები და ბათუმელები გაუსაძლის ვითარებაზე საუბრობდა, საღამოს რვა საათიდან მთელი ღამე ქუჩაში გასვლას ვერიდებით, უზნეობის „ბუმიაო“. „ახალგაზრდა ადვოკატების“ წევრმა შეისწავლა ბათუმში არსებული ვითარება, განსაკუთრებულად კრიტიკული მდგომარეობა ჭავჭავაძისა და ქუთაისის ქუჩებზე ყოფილა, ამ ქუჩებზე მრავლადაა ე.წ. ლოკონტი, თურქული სასადილო, სადაც ღამის ათი საათის შემდეგ ქართველ მამაკაცებს არ უშვებდნენ, დილამდე დისკოთეკა ჰქონდათ გაჩაღებულიო.

გონიოს და ბათუმის მოსახლეობას არაერთხელ მიუმართავს აჭარის ხელისუფლებისთვის, მაგრამ უშედეგოდ. ეტყობა სააკაშვილის „დოსტი“ ლევან ვარშალომიძე თურქი თუ სხვა უცხოტომელი „ინვესტორების“ განაწყენებას ერიდებოდა. საქმეში ბათუმის მერიც ჩართულა, მაგრამ მისი მოსახლეობასთან მისვლა, ხალხის დაშოშმინების მცდელობას უფრო ჰგავდაო. რაც შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიმართ ძალადობას, ცემა-წამებას, არჩილ კაიკაციშვილი აცხადებდა, რომ ქალებს კლიენტების უფასოდ მომსახურებას აიძულებდნენ, აჭარაში რაც ხდება, ამას „მომღიმარი ტრეფიკინგი“ ჰქვია, როდესაც ყველაფერი მსუბუქი ფორმით ხდება. აჭარაში თითქოსდა სამუშაოდ ჩასულ შუა აზიელ ქალებს სასტუმროს თურქი მეპატრონეები პასპორტს ართმევენ და დოკუმენტების უკან დაბრუნებისთვის თანხებს უწესებენ, ამიტომ ცემა, ძალადობა და შანტაჟი ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. ადგილობრივების განცხადებით, არაერთ ქალს უცდია თავის მოკვლა, ერთმა მოიკლა კიდეცო. როგორც ჩანს, გამოცემის „სათნო“ და „ტოლერანტი“ ჟურნალისტი მხოლოდ იმ ამბავმა შეაწუხა, არჩილ კაიკაციშვილის დასახელებული ფაქტები, თურქი მოქალაქეების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ხომ არ შეუწყობდა ხელს. რესპოდენტის განცხადებით, ამ და ზოგიერთი სხვა მიზეზის გამო, ხალხს აღარ სჯერა, რომ ამ პერსონებს საქართველოს მიმართ კეთილმეზობლური დამოკიდებულების სურვილი აქვთ, არადა თურქეთი საქართველოსთვის სერიოზული პარტნიორი და ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია. ბიზნესი და საქმიანი ურთიერთობები უნდა განვითარდეს, მაგრამ აღვირახსნილობასა და დანაშაულს წინ უნდა უნდა აღვუდგეთო. მოსახლეობის უარყოფით რეაქციას და პროტესტს ქართველ და თურქ ხელისუფალთა უმოქმედობაც იწვევდა, არადა ვალდებულნი არიან, რომ აღკვეთონ ეს უზნეობა და დანაშაული, დროულად დაიწყონ ფაქტებზე რეაგირება. ამ თემას რატომღაც გვერდს უვლიან აჭარის ტელევიზიაც და ცენტრალური ტელეარხებიცო. ნაციონალების ჯიბის ტელევიზიები რომ ამ თემაზე ხმას არ ამოიღებდნენ, არც იყო გასაკვირი, სააკაშვილის ხელისუფლება რომ უანგაროდ არ დახუჭავდა თვალს ამ უზნეობაზე, ორი აზრი არ არსებობს. გავიხსენოთ „ვარდოსნების“ სახელისუფლებო გარიჟრაჟი, როგორ „ებრძოდა“ ირაკლი ოქრუაშვილი შიდა ქართლის გუბერნატორის რანგში, უზნეობა-პროსტიტუციას, „ბორდელთმმუსვრელის“ სახელიც კი დაიმსახურა. ცოტა ხანში საეჭვოდ გაისუსნენ ეს „ზნეობისდაცველნი“, პროსტიტუცია სრულად აღკვეთესო, ნამდვილად ვერ „დავაბრალებთ“, მით უმეტეს ზემომონათხრობიდან გამომდინარე. ძაღლის თავი სადაც ემარხა, უჩვენოდაც ყველას კარგად მოეხსენება.



არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, არც იმ ქვეყნების საელჩოებს გაუღიათ ხმა, რომელთა მოქალაქეებიც გვევლინებოდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლად. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მიმართეს საქართველოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს, რომ გადამჭრელი ზომები მიეღოთ, თავიანთი ქვეყნების მოქალაქეთა გასათავისუფლებლად. რა ზომები მიიღეს ერთმაც და მეორემაც ვერაფერს მოგახსენებთ, ფაქტია, უკანონო ბორდელების რიცხვი და ტრეფიკინგი დიდად არ შემცირებულა. იმ პერიოდში „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამაც გააპროტესტა აჭარის საერთაშორისო ტრეფიკინგის ცენტრად გადაქცევა, რაზეც ფრიად „გონივრული“ და „მყარადარგუმენტირებული“ შეფასება მიიღო ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი კირთაძისგან, ჯონდი ბაღათურია, ამ განცხადებებით ხელს უშლის ტურისტული ქალაქის აღმშენებლობასო. გონიოს მოსახლეობამ 2013 წლის მაისშიც მოაწყო საპროტესტო აქცია მოთხოვნით, ხელისუფლებას გაეძლიერებინა პროსტიტუციაზე კონტროლი. სხვათა შორის, ადგილობრივები ორად ყოფილნ გაყოფილი, ერთ მხარეს იყო ის ხალხი, რომლებსაც მთელი სეზონის განმავლობაში ჰქონდათ

6 გვ.



## მატყუარები და ცრუპენტელები ვერც ქვეყანას ააშენებენ და ვერც პოლიტიკურ ვექტორებს შეცვლიან

4 გვ.

**– აქციის ორგანიზატორებს კიდევ ერთი ლოზუნგი აქვთ – სირცხვილია. რეალურად, რა არის სირცხვილი?**

– კი ბატონო, ნამდვილად სირცხვილია ადამიანებმა თვალი რომ დაკარგეს და ამას არც არავინ უარყოფს. დიახ, ეს სირცხვილია ზუსტად ისევე, როგორც ის, რომ იგივე, ადამიანები გასუსულები იყვნენ, როცა წინა ხელისუფლების დროს დაკარგეს ადამიანებმა თვალიც და სიცოცხლეც. მაშინ არცერთ მათგანს ხმა არ ამოუღია, ყველა ხელისუფლებაში იყო. ამიტომ, მათი არ მჯერა. ახლა, კახა კუკავა რომ გამოვიდეს და თქვას: ერთის დედაც ვატირე და მეორესიცო, მას დავუჯერებ. ანუ, კოლექტიურ კახა კუკავას ანუ, იმ ადამიანს დავუჯერებ, რომელსაც არცერთი მათგანის ქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია, არც მაშინ ყოფილა გასვრილი და არც ახლა. ეს გასაგები იქნება. „ნაციონალებს“, „ევროპულ საქართველოს“ და მსგავსთ არ აქვთ უფლება სირცხვილზე ილაპარაკონ იმიტომ, რომ მაშინ ადამიანებს თვალიც დათხარეს, სიცოცხლეც წაართვეს და თავად თანამდებობებზე ისხდნენ.

**– ბატონო მამუკა, გახარიამ განაცხადა: 2020 წლის არჩევნებზე „ნაცმოძრაობას“ ქუჩაში დავტოვებო. არჩევნების გზით უნდა გავასწოროთ ანგარიში თუ სასამართლოზე?**

– დარწმუნებული ვიყავი, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ „ნაცმოძრაობას“ როგორც დამნაშავე პარტიას, რომელმაც ამდენი ხალხი დააზარალა, სამართლებრივი შეფასება მიეცემოდა და კონკრეტული პირები დაისჯებოდნენ. ასეთი რამ არ მომხდარა. კი ბატონო, კონკრეტული პირები – ორი-სამი კაცი დაისაჯა, მაგრამ სამართლებრივი შეფასება პარტიის საქმიანობას არ მისცემია. არ ვამბობ, რომ პარტია უნდა აკრძალულიყო, არამედ თქმულიყო: „ნაცმოძრაობამ“ ესა და ეს დააშავა და ამას სამართლებრივი შეფასება მისცემოდა. არც შეფასება მიუცია ვინმეს და არც გამოსწორებაზე უფიქრია. რაც შეეხება ქონების დაბრუნებაც, 10%-იც არ დაბრუნებულა ან კი როგორ მოხდებოდა ეს მაშინ, როცა ის ადამიანები ვინც ეს ხალხი დაიჭირა, ქონება წაართვა, გაასამართლა, 75% იმავე თანამდებობებზე დარჩნენ. ახლა, ბევრი მათგანი მუდმივ მოსამართლეობაზე იკლავს თავს.

**– ხალხი დაიღალა ქართული ოცნების პიარით: „ნაცმოძრაობა“ ცუდია, დაგღუპავენო. ეს ხომ მათ წინააღმდეგ მოქმედებს?**

– ხალხი ამბობს: კი ბატონო, გავიგეთ რომ „ნაცმოძრაობა“ ცუდია, ახლა თქვენ გვაჩვენეთ რისი გაკეთება შეგიძლიათო. ბოლო მომენტში ისევ ჩაირთვება აგიტაციის მანქანა: არიქა, „ნაციონალები“ ცუდები არიან, დაბრუნდებიან და დაგვიღუპებითო. მაგრამ ეს აღარ იმუშავებს იმიტომ, რომ ახალგაზრდა თაობა წამოვიდა, რომლისთვისაც „ნაცების“ ნამოქმედარი ემოციურად მათ მეხსიერებაში არ არის, მხოლოდ, ფაქტობრივად, იციან. ჩემთვის, ეს ემოციური იყო – ჯერ ერთი მიტინგებს რომ არბევდნენ მეც იქ ვიდექი, მეორეც, უამრავი ახლობელი მოხვდა ციხეში, რომელთაც ქონება წაართვეს, რამოდენიმე გარდაიცვალა და პანაშვიდებზე დავდიოდი. ახალგაზრდებისთვის ეს ემოციური არ არის. მათთვის „ნაცმოძრაობა“ მტრის ხატი აღარ არის. მტრის ხატია ნებისმიერი ჩინოვნიკი და პოლიტიკოსი, რომელიც თავის სიტყვას არ ასრულებს. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს უნივერსიტეტები, სადაც „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, პოლიტიკური პარტიის ლიდერები გადასარევად მუშაობენ. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება იყო პოლიტიკური პარტიის ლიდერი, თან ამავდროულად პედაგოგი და ბავშვებს შენი პარტიის წესდების მიხედვით ასწავლო. ეს დაუშვებელია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



## ბორდელები, როგორც უცხო ჯიშის „ქართველების“ გამოსაჩეკი ინკუბატორები

5 გვ.



გაქირავებული სახლები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. სწორედ აქ იყო გახსნილი რესტორნები, კლუბები ე.წ. სასტუმროები, მეორე მხარე იყო ის ადამიანები, რომლებიც სეზონის დადგომისას იღებდა კერძო ტურიზმიდან შემოსავალს, რამდენჯერმე საპროტესტო აქცია ამ ხალხმა მოაწყო. ხელისუფლბის შეცვლის შემდეგ, ამ მიმართულებით დადებითი ნაბიჯები გადაიდგა, 2012 წლის დეკემბერში სამართალდამცავებმა დააკავეს ორი საქართველოს მოქალაქე ქალი და სამი თურქეთის მოქალაქე მამაკაცი, რომლებსაც ბათუმისა და გონიოს ტერიტორიაზე ნაქირავები ჰქონდათ სასტუმროები და ორგანიზებას უწევდნენ პროსტიტუციის ბუნაგების მოწყობას. გონიოს მოსახლეობა აცხადებდა, რომ რამდენიმე ერთეული ასეთი „ობიექტის“ აღმოფხვრით პრობლემა ვერ მოგვარდებოდა, ამიტომაც იმართებოდა აქციები შემდეგ წლებშიც.

ჩვენ დავუკავშირდით არჩილ კაიკაციშვილს, რომლის განცხადებითაც პრობლემა ნამდვილად არ აღმოფხვრილა. გონიოში თითქოს შემცირდა არალეგალური



ბორდელების რიცხვი, სამაგიეროდ, ბათუმისკენ გადმოინაცვლა და შეიძლება ითქვას, ბათუმი წალეკილია პროსტიტუციის ე.წ. ბუნაგებითო. რაც შეეხება სანდო წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, დავიწყოთ იმით, თავად თურქეთში როგორ ჩნდებოდნენ შემდგომ საქართველოში „გადმოპორტირებული“ ქალები. ჩვენ ამ ინფორმაციების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ და არც არის ჩვენი კომპეტენცია, ამ ყველაფრის მოკვლევა-დაგენასა და აღკვეთაზე შესაბამისმა სამსახურებმა იზრუნონ. წყაროს ცნობით, შუა აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით უზბეკეთში, როგორც ჩანს, ეკონომიურად ყველაზე მეტად აქ უჭირს მოსახლეობას, ჩადიან თურქი „ემისრები“, რომლებიც მშობლებისგან ყიდულობენ 10–12 წლის, შეიძლება უფრო ნაკლები ასაკის გოგონებს. მრავალშვილიანი ღარიბ-ღატაკი ოჯახისთვის დიდი ცდუნებაა 3000–5000 დოლარი, რომელსაც მცირეწლოვან ქალიშვილში უხდიან, მით უმეტეს, რომ უზბეკების და საერთოდ, მუსულმანური აღმსარებლობის ოჯახებში გოგონას დაბადება დიდად არ ახარებთ, რადგან გათხოვებისას სერიოზული მზითევი უნდა წაიღოს ოჯახიდან, რაც ზარალიაო. ეს გოგონები ჩაყავთ თურქეთში და იძულებით აბამენ „სექსბიზნესში“, პროსტიტუციაში. ეს კონტიგენტი თინეიჯერის ასაკიდან გამოსვლის შემდეგ, ანუ 20 წელს რომ გადააბიჯებს, უკვე ბიზნესისთვის ჩამოწერილად, უვარგისად ითვლება, ამიტომ დგება მისი თავიდან მოშორების საკითხი. ეს კონტიგენტი თურქეთის პოლიციაში რომ ხვდება, მათ უსვამენ კითხვას, როგორ აღმოჩნდა ამ ქვეყანაში, თუ მოყვება რეალურად რა მოხდა, მაშინ „იმპორტიორის“ პასუხისგების საკითხიც უნდა დადგეს, ამ გოგონებს გადაპარსავენ თავს, რამდენიმე ქვეყნის საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო, შეიძლება სისხლის სამართლებრივმა პასუხისმგებლობამაც მოუწიოს და საბოლოოდ, ყველა ვარიანტში დეპორტაცია უნდა მოხდეს სამშობლოში, რაც თურქეთს სერიოზული თანხა უჯდება, თვითმფრინავით უნდა დააბრუნონ. ამიტომ ჩვენს მეზობელ „ისტორიულ მეგობრებს“ და თავად ამ „ვადაამოწურულ“ სექსმუშაკებსაც ურჩევნიათ დაფიქსირდეს, რომ ვითომ საქართველოდან გადავიდნენ თურქეთში. ჩვენ ხომ დიდი ხანია ტრანზიტისა და დერეფნის ფუნქცია მოგვაკერეს ე.წ. მეგობრებმა და სტრატეგიულმა პარტნიორებმა. ასე რომ, ამ ქალებს საქართველოში უკეთებენ დეპორტაციას. როგორც კი საზღვარს გადმოკვეთენ, იქვე ხვდებიან ახალი „პატრონები“ და უკვე საქართველოს ტერიტორიაზე „ასაქმებენ“ თურქების მომსახურეებადო. „პატრონების“ რჯულსა და ეროვნებაზე უკვე მოგახსენეთ. წყაროს განცხადებით, დამსაქმებლები“ თურმე ყველა ამ ქალს ავალდებულბენ, რომ აუცილებლად უნდა გააჩინოს საქართველოში ერთი შვილი, ბუნებრივია, რომელიმე თურქი „კლიენტისგან“. საქართველოში მოქმედი ე.წ. ნატურალიზაციის კანონის მიხედვით, აქ დაბადებული ყველა ახალშობილი ავტომატურად საქართველოს მოქალაქედ ითვლება, რა თქმა უნდა, არც ამ კონტიგენტის ბავშვები იქნებიან გამონაკლისი. ადრე თუ ათი წლის ბავშვები მიყავდათ თურქეთის მედრესეებში სასწავლებლად, სადაც ღმერთმა იცის რას უჭედავდნენ მათ ტვინში იქაური „მასწავლებლები“, ახლა საქართველოშივეა ეს სასწავლებლები, სადაც უკვე ხუთი წლის ბავშვებს ღებულობენო. სექსმუშაკთა დეპორტაცია-იმპორტირების და დემოგრაფიული ექსპანსიის პროცესი, თუ ბავშვების თურქულად „განსწავლულობა“ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, მაგრამ ასლან აბაშიძის მმართველობის დროს, სულ თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევა თუ იქნებოდა, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „პიკს“ მიაღწიაო. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ინტერნეტსივრცეში ამირან-ამირანის სახელით ვიღაცა ყმაწვილი შემოვარდა, რომელიც ჩიქორთული ქართულით ლანძღავდა „ქართულ ოცნებას“, ვითომდა ნარკოტიკების ლეგალიზაციის გამო. ჯაფარიძე-„გირჩის“ და იმათ მიმართ რატომ არ გიჩნდება პრეტენზია, შარშან პარლამენტთან ლამის თავზე რომ დაიმხეს ყველაფერი მაგ მოთხოვნებით-თქო. მაგათ ჩემთვის ზიანი არ მოუყენებიათო მიპასუხა თურქეთის დროშის ფონზე გამოჯგიმულმა ყმაწვილმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, კარგა გვარიანად რომ უდუღდა აზიური სისხლი. არ გამიკვირდება, ეს ახალგაზრდა ზუსტად იმ „ინკუბატორში“ იყოს გამოჩეკილ-გაზრდილი, რომელზეც ჩვენი წყარო საუბრობს, განსაკუთრებით მის უზრდელურ და უხამს ლექსიკას თუ გავითვალისწინებ. როგორც „საკადრისი“ პასუხი ძალზე ემწარა ამ არამკითხე მეამბეს და მალევე უკვალოდ გაქრა ინტერნეტსივრციდან.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ნაცებმა რაც არ უნდა ისტერიკა მოაწყონ, ლავროვის და ზალკალიანის შეხვედრა ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოსთვის

*გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:*

**— ქალბატონო ნანა, 2008 წლის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის პირველად შედგა პირისპირ შეხვედრა. რა მოლოდინები გაქვთ?**

— პირველ რიგში, მისასალმებელია, რომ ეს შეხვედრა შედგა. წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა რაც არ უნდა ისტერიკა მოაწყონ, ეს, უდაოდ, წინ გადადგმული ნაბიჯია. ხელისუფლებამ ძალიან ბევრი წელი დაკარგა. იგი სულ უკან იყურებოდა, რამე არ წამომაძახონ. თუმცა, ამ შეხვედრიდან გადაჭარბებული მოლოდინები არ უნდა გვქონდეს, რადგან დიდი ხანია კონტაქტი გაწყვეტილი გვაქვს. ფაქტობრივად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები აბაშიძე-კარასინის ფორმატის ამარა იყო. ახლა, კარასინი წავიდა.ე.ი. ეს ფორმატიც უნდა გადაფორმატდეს, შეიცვალოს. მთელი რიგი საკითხებია, რაც აბაშიძე-კარასინის ფორმატში არ ექცეოდა. ამიტომ, ეს შეხვედრა მისასალმებელია. პირველ რიგში, ეს ჩვენ გვჭირდება და არა რუსეთს. იმიტომ, რომ რუსეთმა, პრაქტიკულად, არსებული სტატუს-ქვოთი რაც სჭირდებოდა ყველაფერი მიიღო. ასეთი შეხვედრები ჩვენ გვჭირდება, რათა ვითარება რაღაცნაირად შემოტრიალდეს.



**— „ნაცებმა“ ეს შეხვედრას მაშივნე გააკრიტიკეს: საერთაშორისო თანამეგობრობისგან გვერდზე გვწევენ და რუსეთის ხახაში აღმოვჩნდითო.**

— ჯერ ერთი, სხვა ფორმატებიც არსებობს, მათ შორის, ჟენევის, სადაც საუბარი, დიალოგი მუდმივად მიმდინარეობს. წინსვლა და რაიმე ნაბიჯი არ არის. „ნაცები“ გაჰყვირიან: ზალკანიანმა დეოკუპაციაზე რატომ არ ელაპარაკა ლავროვსო. ამათ რა უნდოდათ, რა უნდა ეთქვა შეხვედრისას ზალკანიანს: ბატონო ლავროვო, ახლავე გაიყვანეთ თქვენი სამხედრო ძალები აფხაზეთიდან და სამხრეთ-ოსეთიდან, აღიარება უკან წაიღეთო? მაშინ მერე რაღა რჩება სალაპარაკო? ვინმეს სჯერა, რომ რუსეთი ამ ნათქვამზე შეშინდება: არიქა, ახლავე, დეოკუპაცია მოახდინეთო იტყვის და ამას განახორციელებს? ყველა სახელმწიფოს თავისი ეროვნული ინტერესი აქვს. შენ რომ ეუბნები: საკუთარ ინტერესებზე თქვი უარი და ჩემი ინტერესები განახორციელეო, დედამიწის ზურგზე რომელიმე ქვეყანა გეგულებათ, ასე რომ მოიქცეს? დიალოგი ხომ იმისთვის არ არის, რომ რუსეთს დაუძახო: რა ცუდი ხარო. ამას ხომ ისედაც გაიძახიან „ნაციონალები“ დილას, შუადღეზე და საღამოს. ეს თუ შველის, დავიძახებთ ყველა ერთხმად.

**— ქალბატონო ნანა, არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენი პარტნიორი დასავლელი მეგობრები აქამდე ნებას არ გვრთავდნენ, რათა რუსეთს პირისპირ შევხვედროდი თ. ეს მართლაც ასეა?**

— ცოცხალ ტყუილებს იგონებენ იმიტომ, რომ რაც თავი მახსოვს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდან დღემდე, ყველა ჩვენი დასავლელი პარტნიორი და მეგობარი ამბობდა და ამბობს: რუსეთთან ურთიერთობა მოაგვარეთო. თითქოს, პრობლემა რომ არ ჩანდა, ამას იმ დროიდან გვეუბნებიან. ნუ იგონებენ ამ ცოცხალ ტყუილებს. აქ ნებართვაზე არ არის საქმე, არამედ ეს გაბედულების საკითხი იყო — გაბედავდა თუ არა ხელისუფლება ნაბიჯის გადადგმას და საბედნიეროდ, გაბედა. თორემ, ჩვენ არავინ გვეწინააღმდეგებოდა — რუსეთს არ ელაპარაკოთო. ეს „ნაციონალების“ კიდევ ერთი ტყუილია. მახსოვს, თავის დროზე, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი რომ ჩამოვიდა, ამ საკითხზე ბევრი ისაუბრა: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გულისტკენა უსიამოვნება გახსოვთ, ყველა შემთხვევაში რუსეთთან ურთიერთობა უნდა დაალაგოთო — გვითხრა მან. იგი საკმაოდ ჭკვიანი კაცი იყო — ომიც ნანახი ჰქონდა და მშვიდობაც.

**— როგორ ფიქრობთ, რით იყო 11 წლიანი პაუზა განპირობებული?**

— ვფიქრობ, გაუბედავობით და იმის შიშით, რომ „ნაცმოძრაობა“ საერთაშორისო არენაზე საქმეს გაგვიფუჭებდა. ასევე, ისიც, რომ ქვეყნის შიგნითაც, მუდმივად, დაძაბულობა, შანტაჟი იქნებოდა. სხვა მიზეზს ვერ ვხედავ.

**— შეხვედრის შემდეგ ლავროვმა საკმაოდ ცინიკური განცხადება გააკეთა. ეს რაზე მეტყველებს?**

— ეს არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ ჩვენი ხელისუფლება, მუდმივად, თავის მართლების რეჟიმშია. ვიღაც სულელი „ნაციონალი“ რაღაცას რომ იტყვის, ყველაფერზე კი არ უნდა გამოეპასუხო და მის ნათქვამს წონა კი არ უნდა მისცე. მეორე მხრივ, გასაგებია, ზალკანიანს განმარტებები დასჭირდა იმიტომ, რომ 11 წელია რუსეთთან არავითარი დიპლომატიური ურთიერთობა არ გვქონია. მესამე ის არის, რომ ლავროვმა მიანიშნა: ეს მასშტაბური მოლაპარაკება არ ყოფილა, უბრალოდ, შეხვედრა იყო. როდესმე ეს შეხვედრა ხომ უნდა მომხდარიყო, რათა მერე, საკითხი განვითარდეს. აი, ეს იყო.

**— ქალბატონო ნანა, „ევროპული საქართველო“ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დაწესებას ითხოვს. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**

— ყველა სანქცია უკვე დაწესებულია. ევროპაშიც და აშშ-იც აღნიშნავენ, რომ ამ სანქციებს არავითარი შედეგი არ მოაქვს. „ევროპულ საქართველოს“ სანქციები გულის საფხანად თუ უნდათ, არ ვიცი. თავის დროზე ერთმა დიდმა ქართველმა თავის ნაწარმოებში თქვა: რას მიჰქვიან გულის ფხანა. ფხანა ქეცმა იცის. თუ სამკურნალოები არიან, იმკურნალონ. გულის მოსაფხანად სანქციების დაწესებას, არავითარი აზრი არ აქვს. ჩვენს ქვეყანას არც ის არ წაადგება, რომ ნაციონალები, დღემდე, პოლიტიკაში არიან. პოლიტიკაში რომ იტივტივონ და თავი შეინარჩუნონ შარვლის ჩახდაზეც მზად არიან. ამ ეტაპზე, რუსეთის მიმართულებით ხელისუფლების რაიმე წარმატება, „ნაციონალების“ ინტერესებში არ შედის. ისინი, მუდმივად, შემდეგი ფორმულით მოქმედებენ: რაც ქვეყნისთვის უარესი, მით უკეთესი ჩვენთვის. მათ სურთ რაც შეიძლება მეტი დაძაბულობა, ჩავარდნა, წარუმატებლობა იყოს. ეს მათ პოლიტიკური სპეკულირებისთვის მეტ საშუალებას მისცემს. ისინი, კვლავ, ხელისუფლებაში დაბრუნების ილუზიებში არიან.

**— 2020 წლის არჩევნები ახლოვდება. რას ელით ამ არჩევნებისგან?**

— „ნაცები“ ხომ ითხოვდნენ პროპორციულ არჩევნებს, ივანიშვილმა ამას ზემოდან ნულოვანი ბარიერიც დაამატა. ყველა პოლიტიკურ ძალას, თუკი რაიმე მხარდაჭერა აქვს, შანსი ეძლევა საპარლამენტო მანდატები რეალურად მოიპოვოს. ეს „ნაცებისთვის“ პოლიტიკური სიკვდილია.

**— როგორ ფიქრობთ, ხაზარაძე ლელოს დადებს?**

— ხაზარაძემ ჯერ თავისი ბანკის მიერ გატყავებულ, უსახლკაროდ დატოვებულ მოსახლეობას შეხედოს. სხვათა შორის, ბანკის ვალები მოსახლეობას ისევ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ და ბიძინა ივანიშვილმა ჩამოაწერა. ხაზარაძემ ხალხს შეხედოს თვალებში. როგორ მოატყუებს, რანაირად შეეცდება მათ გადაბირებას, ჩემთვის აუხსნელი ამბავია. თუ ის ბიძინა ივანიშვილის მაგალითს უყურებს, ჯერ ერთი, ივანიშვილს აქ, არავინ გაუტყავებია, მოსახლეობისთვის არაფერი წაურთმევია, პირიქით, სხვაგან ნაშოვნი ფული ჩამოიტანა და წლების განმავლობაში ქველმოქმედებას ეწეოდა. ბიძინა ივანიშვილი არ არის ბანკირი, რომელმაც ხაზარაძის მსგავსად მთელი ქვეყანა კაბალურ ვალებში ჩააგდო. ამიტომ, თუ ივანიშვილს და ხაზარაძეს შორის, არავითარი საერთო არ არის.





**— ისევ, რუსეთის თემას დავუბრუნდეთ. „ნაცებმა“ ერთი ამბავი ატეხეს შეხვედრა ხალხის ზურგს უკან შედგაო. ხალხის მოთხოვნა რა არის?**

— დიახ, გაიძახიან: ხელისუფლება ხალხის ზურგს უკან მოქმედებსო. ამის პასუხად შემდეგს ვეტყვი: განა, „ნაციონალები“ ხალხის თანდასწრებით, სახალხოდ მართავდნენ რაიმე შეხვედრებს? ხალხს ჰკითხეს და ისე შევარდნენ ცხინვალში თუ სამხრეთ-ოსეთის მეორე, ალტერნატიული ადმინისტრაცია გამოაცხადეს ხალხის მოსაზრებაზე დაყრდნობით? იგივე, ხალხს ჰკითხეს და ისე ჩააბარეს კოდორის ხეობა? ამ შეხვედრაზე რა შუაშია აქ, ხალხი. რატომ სპეკულირებენ მოსახლეობით, გაუგებარია. ხალხი, მათ, მაშინ ახსენდებათ, როცა პროვოკაციის მოწყობა სჭირდებათ, სხვა დროს — არა. რაც შეეხება კითხვას, რა უნდა ხალხს. აქ, მათ განწყობებზე არ არის ლაპარაკი. პრემიერმა, გინდაც საგარეო საქმეთა მინისტრმა დასხდნენ და „ენ-დი-აის“, „აი-რაის“ გამოკითხვებით იმოქმედონ თუ როგორ არის საქმე? დღემდე, ვერავინ მიაგნო თუნდაც ერთ ადამიანს, ვინც „ენ-დი-აი“-მ ან აი-რაი“-მ გამოკითხა. გამოკითხვები რა მეთოდოლოგიით ხდება, ეს კიდევ სხვა საკითხია. აქ განწყობები არ არის მთავარი, არამედ შემდეგი: ვინც ნორმალურად აზროვნებს და პოლიტიკური ახირებები არ აქვს, ყველა ხედავს, რომ ნატოში ჩვენი გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. ნატოსთან თანამშრომლობა მიმდინარეობს, ერთობლივი წვრთნები იმართება, ჩვენ ვცდილობთ, საერთაშორისო სტანდარტები დავამკვიდროთ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ოდესღაც, 2000 წლის შემდეგ, ნატოს წევრი გახდე. საერთოდ, ამ დროს ნატო იქნება თუ არა, კაცმა არ იცის. ამის გამო, დღეს, ყველაზე მთავარი საკითხი მოუგვარებელი უნდა დატოვო იმიტომ, რომ „ნაცებს“ ასე აწყობთ? რადგან „ნაცებმა“ თავად დაკარგეს, ამ ხელისუფლების დაბრუნებული არც აფხაზეთი უნდათ და არც სამხრეთ-ოსეთი.

**— წეღან ახსენეთ, ნატოში ჩვენი გაწევრიანების საკითხი არ დგასო. რასმუსენის განცხადებაზე რას ფიქრობთ?**

— ამაზე დიდი ხანია კულუარებში საუბრობენ. პირველად, ეს საკითხი, ჩვენი „რეპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლებმა გააჟღერეს. ისეთი სურათის დახატვას ცდილობენ, თითქოს, ნატოში მთლიანად გვიღებენ, ოღონდ, დაკარგულ ტერიტორიებზე მე-5 მუხლი არ ვრცელდება. ახლა გეკითხებით: მე-5 მუხლი არის კოლექტიური თავდაცვა, ხომ. თუ ეს არ იქნა, მაშინ ნატოს წევრობა რას გვაძლევს გარდა იმისა, რომ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გარდა, შეიძლება ნატოს ბაზები ჩადგეს. ადრე, არც ისე შორეულმა წინაპრებმა თქვეს: ტურფა საქართველო ორად გაუყვიათო. მართლაც, ტურფა საქართველო ორად იქნება გაყოფილი — ერთი ნაწილი რუსეთისთვის, მეორე — ნატოსთვის. ეს თუ გვინდა, ისტორიულად გავლილი გვაქვს ეს ამბავი, როცა ნახევარი საქართველო ოსმალების იყო, ნახევარი — სპარსელების.

ვის ვუგდოთ ყური — რასმუსენს, რომელიც აღარ არის ნატოს გენერალური მდივანი თუ ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებს? მაშინ არც ის დაგვავიწყდეს, რომ ტრამპმა, მართლაც, ისტორიული განცხადება გააკეთა: სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეპოქა დადგა, მომავალი მათია. ეს მართლა ისტორიული განცხადებაა. აქედან დასკვნა ხომ უნდა გამოვიტანოთ და ასე, მუდმივად ვიღაცაზე ატორღიალებული აღარ ვიყოთ.

**— ჩვენთან ასეთი მიდგომაა: დასავლეთი რუსეთს მალე დაშლის და მერე, ყველაფერი მოგვარდება. ეს რამდენად სწორია?**

— ეს არის ისტორიაში, აბსოლუტურად, ჩაუხედავი და უვიცი ადამიანების თვალსაზრისი. იმიტომ, რომ ჩვენ, ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მაშინ ვიყავით, როცა რუსეთში ასეთი ცენტრიდანული მოძრაობები იწყებოდა. ყველაზე დაუცველები ვიყავით მაშინ, როცა რუსეთი ჩრდილოეთკავკასიას ვერ აკონტროლებდა. ჩაიხედონ ისტორიაში, ლიტერატურაში. რუსეთი თუ დაიშალა, სანამ დასავლეთი მოგეხმარება, შეიძლება, საქართველოსგან ბუნდღა აღარ დარჩეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ვინ შეიწყალებს საწყლებს და საბრალოებს, ანუ ქართული მართლმსაჯულების პარადოქსები





ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში განხორციელებულ შეწყალების სკანდალურ ამბებს რომ გაიხსენებ, არ შეიძლება ხელი პირჯვრის გადასაწერად არ გაგექცეს და თავისდაუნებურად არ აღმოგხდეს: უფალო შეგვიწყალენ! უფალო, შეგვიწყალენ! უფალო, შეგვიწყალენ!

ისევ უფალმა თუ არ გვიშველა და არ შეგვიწყალა, ჩვენი პრეზიდენტების შეწყალების იმედად ჩვენი მტერი იყოს.

მაინც რა ჭირთ ამ ჩვენს პრეზიდენტებს, მოწყალე თვალი მაინცდამაინც მკვლელების, ნაკობარიგების, ყაჩაღების, ავაზაკების შეწყალებისკენ რომ გაურბით და უამრავი საწყალი და საწყალობელი შეუმჩნეველი და შეუწყალებელი რომ რჩებათ?

სალომე ზურაბიშვილი ლამის არის ჯვარს აცვან. ეს სამი საეჭვო პერსონა რატომ შეიწყალეო, და ამ დროს გიორგი მარგველაშვილის შეწყალებანი საკვირველნი არავის ახსენდება.

მოწყალე გიორგიმ იმდენი ავაზაკი, იმდენი ნარკობარიგა და ნარკომანი გამოყარა გარეთ, ხუთ პრეზიდენტს ეყოფოდა შესაწყალებლად.

აბა, რა ექნა საკუთარ სანათესაოს და ცოლის სანათესაოს ხომ არ აწყენინებდა?

კი, მაგრამ, პრეზიდენტ კაცს და მის თანამეცხედრეს ამდენი ნარკომანი, ძველი ბიჭი და ხულიგანი რატომ უნდა ჰყოლოდა სანათესაოში?

როგორც ჩანს, სანამ პრეზიდენტად ავირჩევდეთ ვინმეს, ჯერ კარგად უნდა შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ, ვინ არის, რა წრეში ტრიალებს, რა სანათესაო ჰყავს, თვითონ რას წარმოადგენს და ა.შ.

მანქანის მართვის მოწმობას არავინ მისცემს მოქალაქეს, თუ ე.წ. „ფსიხო“ არ წარმოადგინა.

ჩვენ მანქანის კი არა ქვეყნის მართვის უფლებას ვაძლევთ ადამიანს და „ფსიხოს“ არ ვთხოვთ.

პრეზიდენტობა გინდებლარიენ? წარმოადგინე, ბატონო, „ფსიხო“ და მერე ვილაპარაკოთ.

ვთქვათ და სააკაშვილისთვის რომ მოგვეთხოვა „ფსიხო“, ხომ არ ავირჩევდით პრეზიდენტად და ქვეყანაც რამდენ უბედურებას გადარჩებოდა?

სააკაშვილი კი არა ვერც მარგველაშვილი გაივლიდა კვალიფიციურ შემოწმებას – კაცი, რომელმაც საკუთარი თავი იმაში დაარწმუნა, რომ ქვეყნის მოსახლეობამ ბიძინა ივანიშვილის ხათრით და დახმარებით კი არა, პირადად მისი დიდი ავტორიტეტის გამო აირჩია პრეზიდენტად, „ფსიხოს“ როგორ ჩააბარებდა?

●

ალეკო ელისაშვილი კაცი – ბრექი, კაცი – ბლეფი, კაცი – პოპულისტი, ირწმუნება, რომ ეს სამი სკანდალური შეწყალება იმიტომ მოხდა, რომ შეწყალების კომისია გააუქმესო.

შეწყალების კომისია, „წარმატებით“ მუშაობდა მარგველაშვილის დროს, როცა მარგველაშვილი დღეში 2 კაცს იწყალებდა (მის მიერ შეწყალებულთა რაოდენობა დღეების იმ რაოდენობაზე რომ გავყოთ, რაც მარგველაშვილმა პრეზიდენტის პოსტზე დაჰყო, ეგრე გამოდის – დღეში 2 კაცი).

ელისაშვილზე არ გამიგია, მაგრამ შეწყალების კომისიის მომდევნო თავმჯდომარის ზვიად ქორიძის დროს, შეწყალების კომისია და ზოგადად, შეწყალების პროცესი, როგორც ამბობენ, ფულის საჭრელ მანქანად იყო ქცეული.

შეიძლება ტყუილია ეს, შეიძლება მართალია, თუმცა ფაქტია, მართლაც შესაწყალებელს, ოღონდ საწყალს და უპატრონოს, არც მაშინ იწყალებდა ვინმე და არც ახლა იწყალებს.

როგორც ჩანს, თვით ქართულ მართლმსაჯულებაშია რაღაც დიდი ხარვეზი, რაღაც ისეთი შავი ხვრელი, რომელიც საშუალებას იძლევა, არაკეთილსინდისიერი, გნებავთ, კორუფციული გადაწყვეტილებების მისაღებად.

თუმცა, თუ კარგად დავუკვირდებით, არა მარტო შეწყალების საქმეში, არამედ, ზოგადად, ქართულ სამართალში, ქართულ კანონებში იმდენი შეუსაბამო და არაადექვატური რამ არის, შთაბეჭდილება გრჩება, რომ ეს ყველაფერი ნაკლებად ემსახურება ქვეყანაში წესრიგის, სამართლიანობის, საზოგადოების დაცულობის და უსაფრთხოების წმინდათაწმინდა მიზანს.

●

ხშირად გინახავთ თქვენ ასეთი სურათი – სამართალდამცავები ხელზე ბორკილდადებულ დამნაშავეს სადღაც მიაფარფატებენ, ეს „სადღაც“ კი არც მეტი, არც ნაკლები – ციხეა.

ვინ არის ეს დამნაშავე?

ვინ არის და როგორც გვარწმუნებენ, ვიღაც წვრილფეხა მოხელეა, რომელმაც ქრთამის სახით 500 თუ 600 ლარი აიღო.

ამ დამნაშავეს, ქართული მართლმსაჯულების მიხედვით, 6-დან 9 წლამდე სასჯელი ელოდება, რომელიც მან აუცილებლად ციხეში უნდა მოიხადოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს კაცი მინიმუმ ექვსი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტმა, ანუ თითეულმა ჩვენთაგანმა უნდა შეინახოს.

რა ჯდება ერთი პატიმრის შენახვა ციხეში? საშუალოდ, 5–6 ლარი დღეში.

გამოდის, რომ ექვსი წლის განმავლობაში, მოქალაქეებმა ამ წვრილფეხა მერქთამის შესანახად 10–11 ათასი ლარი უნდა გადავიხადოთ იმისთვის, რომ არ მოშივდეს, არ მოსწყურდეს, ჯანმრთელად იყოს, სითბო არ მოაკლდეს, დაცულად და უსაფრთხოდ იყოს.

რა „დამსახურების“ გამო გვყავს ეს ადამიანი ასეთ პატივში?

იმ „დამსახურების“ გამო, რომ ვიღაცას ქრთამის სახით 500 ლარი გამოართვა.

კი, მაგრამ, რა შუაში ვართ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები და რატომ ვისჯებით („ვიშტრაფებით“) მისი მამაძაღლური საქციელის გამო?

რატომ არის აუცილებელი ეს კაცი მაინცდამაინც ციხეში ვაყურყუტოთ 6 წლის განმავლობაში და ჩვენ ვარჩინოთ?

ის ხომ საზოგადოებას არანაირ საფრთხეს არ უქმნის, რომ მისი იზოლირება მოვახდინოთ საზოგადოებისგან?

არ ჯობია ამ მექრთამეს 500 ლარის, ვთქვათ და, ათმაგი რაოდენობა გადავახდევინოთ და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა ათი წლით, 15 წლით, 20 წლით ან სამუდამოდ ავუკრძალოთ?

არ არის ეს სასჯელი, რასაც მე ახლა ვამბობ?

მაინცდამაინც ციხეში ჩასმაა სასჯელი და ეს არ არის?

ხომ არ ჰგონია ვინმეს, საზოგადოებას ძალიან მოსწონს და ძალიან უხარია, ეს „დიდი რაზბოინიკი“ – 500 ლარის ქრთამად ამღები, სამართლიანმა და პრინციპულმა სახელმწიფომ ციხეში რომ ჩასვა?

საზოგადოება მსგავს ფაქტებს მოწონებით კი ირონიით უყურებს, რადგან იცის, რომ 500-ის კი არა 500 000-ის ქრთამად ამღებები მედიდურად და თავმომწონედ დაიარებიან ჩვენს შორის და ზემოდან დაგვყურებენ.

... ერთ გავლენიან პიროვნებასთან ვიღაცები მივიდნენ და უთხრეს:

– აგერ თქვენ 5 მილიონი და ესა და ეს საქმე გაგვიკეთეო.

– რას ამბობთ, დამიჭერენო – იუარა ამან.

– 5 მილიონს გაძლევთ დაგენაცვლე და ვინ დაგიჭერსო? – გაიკვირვეს იმათ.

ეს ამბავი, ანეკდოტს რომ ჰგავს, ნამდვილია და ზუსტად გამოხატავს იმ პარადოქსულ ვითარებას, რაც ქვეყანაში არსებობს.

ლიფსიტებს და ღორჯოებს










იჭერებენ, ღლავები კი თავისუფლად დანავარდობენ.

საწყლების და საცოდავების დაჭერის დროა საქართველოში.

ბუღალტერმა ჟენიამ, რომელმაც ზედნადებები გააყალბა და 2000 ლარით აზარალა მშობლიური სახელმწიფო, ციხეში ამოჰყო თავი, სამაგიეროდ, ქალბატონი ნ, რომლის მამიკომაც თავის დროზე სახელმწიფო ობიექტები დაითრია ჩალის ფასად, პარლამენტში იღერებს ყელს.

ჟენია ციხეშია, მამიკოს ნაქურდალი ფულით გაპარლამენტარებული ნ-ი კი კანონებზე „მუშაობს".

ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მ-მ მეზობელი ეზოდან 20 კგ. ჯართი მოიპარა და ორი წელი მიუსაჯეს.

ნანობს მ, ძალიან ნანობს, რომ ასეთი საქმე დაემართა. სახლში სამი მცირეწლოვანი შვილი ელოდება და შეწყალებას ითხოვს, მაგრამ ამაოდ — მკაცრი და შეუვალია მ-სთვის ქართული თემიდა — მოწყალე და გულჩვილი დიდი კალიბრის ქურდების და ავაზაკების მიმართ.

მოქალაქე ბ.გ.-მ სამი ათასი ლარი დასტყუა ნაცნობს და მიიმალა.ბ.გ. დაიჭირეს და 7 წელი მისცეს. 7 წელი მისცეს 21 წლის ვ.ჯ.-საც, რომელმაც შელაპარაკების ნიადაგზე გამვლელს მუცელში დანა გაუყარა.

ჩვენი „ჰუმანური" სისხლის სამართლის კოდექსი იმის საშუალებას იძლევა რომ 500 ლარის ქრთამად ამღებს და კაცის სასიკვდილოდ გამმეტებელ ნაძირალას თითქმის ერთი და იგივე სასჯელი მიესაჯოს.

ამიტომაც აქვთ უსამართლობის განცდა ჩვენს მოქალაქეებს ქართული მართლმსაჯულების მიმართ, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ, რომელშიც ისეა ერთმანეთში არეული ყველაფერი, რომ ვერ მიხვდები, რა მთავარი ღირებულებები და რა პრინციპები უდევს საფუძვლად ამ კოდექსს?

თითქოს რაღაცით დაკომპლექსებულმა ადამიანებმა შეადგინეს ეს კოდექსი, რომლებსაც უჭირთ ძველ, დახავსებულ მიდგომებს უარი უთხრან და ჰუმანიზმზე დამყარებული ახალი, რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღონ.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ისევ ძალაშია მოწოდება: ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!

— თითქოს ისევ ინერციით ვმოძრაობთ იმ მიმართულებით, რა მიმართულებაც წინა ხელისუფლებამ აიღო, რომელსაც 25 000 პატიმარი და 300 000 პრობაციონერი ჰყავდა?

ნაციონალების მიერ ჩადენილ სხვა მრავალ დანაშაულს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ეს ფაქტი განა საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ „ნაცმოძრაობა", ეს ფაშისტურ-კრიმინალური ძალა, საერთოდ გაძევებულიყო პოლიტიკური ასპარეზიდან?

ამის ნაცვლად ამ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიადამიანური საქმეების შემოქმედები და სულისჩამდგმელები ზოგი პარლამენტში ზის, ზოგი ოპოზიციის სახელს ირქმევს და კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადება, ქართულმა მართლმსაჯულებამ, ქართულმა სამართალმა კი არაფერი იღონა იმისთვის, რომ ეს გაუგონარი ცინიზმი და უტიფრობა აღეკვეთა.

რა სამართალზე და სამართლიანობაზე შეიძლება ლაპარაკი იმ ქვეყანაში, სადაც ზედნადების გამყალბებელ ჟენიას და 500 ლარის ქრთამის ამღებ მიხოს დასდევენ დასაჭერად და გიგა ბოკერია, „ნაცმოძრაობის" გებელსი, პარლამენტში ზის, ხოლო იმ დანაშაულობათა ერთ-ერთი მთავარი „გამპრავებელი" ნიკა გვარამია, იმის ნაცვლად, რომ ციხეში იჯდეს, ახალ ტელევიზიას ხსნის.

ახალ ტელევიზიას ხსნის ბანდიტი კეზერაშვილი, ახალ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის მეორე ბანდიტი ხაზარაძე, ხოლო ყველაზე მთავარი ბანდიტი, ბანდიტთუხუცესი სააკაშვილი, ყოველ კვირას მორალს გვიკითხავს!

აი, ამ ფონზე, რა გასაკვირია, კანონის უზენაესობაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკი მოქალაქეებში ირონიულ ღიმილს რომ იწვევდეს?

წინა ხელისუფლების დროს 25 000 ადამიანი იჯდა ციხეში, დღეს ეს რიცხვი 10 000-მდე შემცირდა.

ბევრია ეს თუ ცოტაა?

მე ვფიქრობ, ძალიან ბევრია ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ჩვენ ვართ.



ამიტომაც ვთქვი, ჩვენ ისევ ნულოვანი ტოლერანტობის გზას ვაგრძელებთ ინერციით-მეთქი.

დარწმუნებული ვარ, ამ ათიათასი კაციდან თუნდაც ნახევარი დღესვე რომ გამოუშვან ციხიდან, ისინი არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ საზოგადოებისთვის.

კრიმინოგენური სიტუაცია მათი გამოშვებით არანაირად არ შეიცვლება.

მე არ ვარ იურისტი, მე მწერალი ვარ, თუმცა ამ ორ პროფესიას შორის ბევრი რამ არის საერთო, განსხვავება კი ისაა, რომ იურისტი ასამართლებს და ციხეში სვამს, მწერალი ასამართლებს და ათავისუფლებს, თუმცა სხვა პასუხისმგებლობებს და სხვა მორალურ ვალდებულებებს აკისრებს, რომლებიც ზოგჯერ გაცილებით მძიმე სასჯელია, ვიდრე ციხეში ჩასმა.



— მე, როგორც მოქალაქე, როგორც ადამიანი, რომელსაც გული შესტკივა ნებისმიერი ადამიანის ბედზე, ვფიქრობ, რომ ადამიანების იზოლაცია საზოგადოებისგან, მათი ოთხკედელშუა გამომწყვდევა, მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს.

ჩვენი გონება, ჩვენი მენტალობა დაჩლუნგებული და ატროფირებულია საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული და ჩვეულებრივ ამბად ქცეული წესით — ადამიანი თუ რაღაცას დააშავებს, ციხეში უნდა ჩავსვათ, იმაზე კი არ ვფიქრობთ, როგორი სასტიკი და დამანგრეველი განაჩენია ეს.

ადამიანი ცოფიანი ძაღლი ხომ არ არის, ოთხკედელშუა გამოკეტო, გარედან ბოქლომი დაადო და მოსწყვიტო ყველას და ყველაფერს — ოჯახს, სამეგობროს, სანათესაოს, საზოგადოებას და ეს გააკეთო იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ ადამიანს არავინ მოუკლავს, არავინ დაუსახიჩრებია, არავინ დაუყაჩაღებია, არავინ უცემია.

აბა, რატომ ვკეტავთ ამ ადამიანს ციხეში, ვისგან ან რისგან ვიცავთ საზოგადოებას?

ცხადია, მკვლელი, ყაჩაღი, მოძალადე, რეციდივისტი ციხეში უნდა იჯდეს, თუმცა აქაც მოძველებული შტამპებით და სტერეოტიპებით ვხელმძღვანელობთ ხოლმე.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: ასამართლებენ ადამიანს, რომელმაც ჯერ გააუპატიურა და შემდეგ მხეცურად მოკლა 8 წლის გოგონა.

სასამართლო ითხოვს ბრალდებულის ფსიქიატრიული შემოწმების დოკუმენტს და როცა ამ დოკუმენტს წარმოადგენენ შიგ ასეთ დასკვნას ვკითხულობთ: ბრალდებული შერაცხადია, ანუ ეს რვა წლის გოგონას გამაუპატიურებელი და მკვლელი, თურმე, ნორმალური ადამიანია და სასამართლო მას, როგორც ნორმალურ ადამიანს, ისე მიუსჯის შესაბამის განაჩენს.



არადა, როგორ შეიძლება ნორმალური იყოს ადამიანი, რომელმაც ასეთი საქციელი ჩაიდინა?

რას ამბობს სასამართლო — რას ამბობს და იმას, რომ ნორმალურ, შერაცხად ადამიანებს ასეთი შემზარავი დანაშაულის ჩადენა შეუძლიათ?!

უფრო დიდი მკრეხელობა გაგონილა?

მსგავსი შეფასება უდიდესი შეურაცხყოფაა ზოგადად ადამიანის მიმართ, რომელიც ღმერთმა შექმნა სახედ თვისად.

მკვლელი არ შეიძლება ნორმალური ფსიქიკის ადამიანი იყოს.

მკვლელის ადგილი, სინამდვილეში, ციხეში კი არა საგიჟეთშია.

მკვლელებად იბადებიან, ისე, როგორც იბადებიან კლეპტომანებად, სადისტებად, მოძალადეებად, პედოფილებად, ნეკროფილებად და ა.შ.

ყოველივე ეს ფსიქიატრიის შესწავლის და კვლევის საგანი უფროა, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით განსასჯელი მოვლენა.

დრო გავა და ალბათ, კაცობრიობა აუცილებლად მივა ამ დასკვნამდე და ბევრ რამეს სულ სხვა კუთხით შეხედავს და სულ სხვა საზომით გაზომავს.

დარწმუნებული ვარ, კაცობრიობას იმ შორეულ მომავალში, ციხე, როგორც ადამიანთა დასჯის და მით უმეტეს, დამნაშავეთა გამოსწორების ადგილი, არ იარსებებს...

●

ახლა კი იმ მთავარი საკითხის შესახებ, რის გამოც დაიწერა ეს წერილი.

ვფიქრობ, საზოგადოების დიდი ნაწილის საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ეკონომიკური ან სხვა სახის დანაშაულის გამო, რომელსაც არ მოჰყოლია სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის მძიმე შედეგები, ადამიანებს ციხეში არ უნდა ვსვამდეთ.

ციხეში უნდა ხვდებოდნენ მხოლოდ ისინი, რომელთა იზოლირება საზოგადოებისგან აუცილებელია საზოგადოების უსაფრთხოების და დაცულობის მიზნით.

დაბოლოს, **მინდა მივმართო საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს:**

ქალბატონო სალომე, თქვენ ბრძანდებით პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში.

თქვენ, როგორც ქალბატონს, გაქვთ შანსი, გამოასწოროთ კაცების მიერ დაშვებული ბევრი შეცდომა, რომლებიც დღემდე იარად ამჩნევია ქვეყანას.

**ქალბატონო სალომე, რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეიწყალეთ, ოღონდ შეიწყალეთ მართლაც საწყალნი და საბრალონი, დაუცველნი და უპატრონონი, ღარიბნი და უქონელნი, რომლებიც საპატიმროებში იმიტომ კი არ მოხვდნენ, რომ ბოროტმოქმედებად და რეციდივისტებად დაიბადნენ, არამედ იმიტომ, რომ დუხჭირმა ყოფამ უბიძგათ დანაშაულის ჩადენისკენ.**

შეიწყალეთ და პარალელურად იფიქრეთ იმაზე, რით და როგორ ვუშველოთ იმ ქვეყანას, სადაც ამდენი სევდა და სასოწარკვეთაა.

შეიწყალეთ და იფიქრეთ იმაზე, როგორ დავაბრუნოთ ამ ნაღვლიან ქვეყანაში ბედნიერება და სიყვარული, რომელთა გარეშე ადამიანის ყოფა გარეთაც ის არის, რაც ციხის შიგნით.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# STOP EKA!

# ანუ უმადურობის სინდრომი

მე არაერთი წერილი მივუძღვენი უმადურობას და უმადურ ადამიანებს. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს ისეთი დაავადებაა, რომელსაც არც საზღვრები გააჩნია და არც ასე იოლად იკურნება. დიახ, ისევ ბიძინა ივანიშვილზე და მის ყოფილ, ასე ვთქვათ, თანამებრძოლებზე მოგახსენებთ.

როდესაც ეკა ბესელია „ქართული ოცნებიდან" წავიდა თუ გაუშვეს, მაინც მეგონა, რომ მას მაინც ეყოფოდა ნებისყოფა, „ვაჟკაცობა", მადლიერება და ბიძინა ივანიშვილს არ დაუწყებდა გინებას. ამ უსიამოვნო ფაქტის შემდეგ მან არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, მე შვიდი წელიწადი ივანიშვილის გვერდით ვიდექიო, ძალიან ახლოს ვიყავიო, მნიშვნელოვანი შეხვედრებიც მქონდაო. ამის მერე კი იწყებს მუქარას, თუ ზარდიაშვილებს არ გააჩერებს, თუ უზენაესის მოსამართლეების ამ შემადგენლობას გაიყვანს, გამოვალ, ყველაფერს მოვყვები, „ნაცებსაც" შევეკვრები და მოსახლეობას ქუჩაში გამოვიყვანო. კი, ბატონო, ყველაფრის მოყოლა ნამდვილად შეუძლია ეკა ბესელიას (ეს ნაწილობრივ გააკეთა კიდეც ინგა გრიგოლიასთან და ნიკა გვარამიასთან), „ნაცებთან" შეკვრა-გარიგებაც არ არის პრობლემა, მაგრამ ქუჩაში მოსახლეობის გამოყვანაზე რა გითხრათ, არ ვიცი... ჰა, ჰა, ორასი გზააბნეული მოაგროვოს, ისიც „ნაციონალების" წახმარებით.

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების უმეტესობა, რაც პერიოდულად ინტერტენსივრცეში ვრცელდება, გადაღებულია 2011 წელს და 2012 წლის პირველ ნახევარში, როცა ძალაუფლება ჯერ კიდევ იყო სააკაშვილის, ახალაიებისა და მერაბიშვილის ხელში. „ქართული ოცნების" წევრ მამაკაცებზე გადაღებული ვიდეოები ეგრევე გაუგზავნეს მათ ცოლებს, ქალებზე ცოტა თავი შეიკავეს. ატყდა ერთი ამბავი, ესენი, ეს „დაზარალებულები" მიცვივდნენ ივანიშვილთან, ჩაუვარდნენ მუხლებში, ბიძინა ბიძია, ასე და ასეა ჩვენი საქმე, თუ შეგიძლიათ, ცოლებთან გვიშუამდგომლეთო. გადაირია კაცი, რანაირად უნდა გიშუამდგომლოთ, ესე იგი, თქვენს ცოლებთან უნდა მივიდე და ვუთხრა, რომ ეს ის არ არის, რაც მათ ჰგონიათო? არაო, ვერაო, თქვენს ოჯახებს თვითონ მიხედეთო, გამოუშვა კუდამოძუებულები. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ ძალიან ბევრს ჩვევად ექცა, თუ სადმე რამეს გაუვრცელებდნენ, თუ ვინმე დააშანტაჟებდათ, ეგრევე მირბოდნენ ივანიშვილთან (მგონი ზოგიერთი დღესაც დარბის), ბიძინა ბიძია, ასე და ასეა ჩვენი საქმე, გვიშველე რამეო, გეგონება ეს კაცი მართლა მაგათი ბიძა იყოს, ან კიდევ მამა. ჰოდა, ეკასაც ასე მოსვლია, მივარდნილა „მამასთან" და იმას კიდევ უთქვამს, „დაყენდი", შვილო, წყნარად იყავ, თორემ იმნაირი ამბები ატყდება, მე ველარ დაგიცავო. ვინც თანამედროვე ტექნოლოგიებს კარგად იცნობს, ყველამ იცის, რომ ინტერნეტსივრცის გაკონტროლება და დამნაშავის დაჭერა ასეთი იოლი არ არის. არ შეიძლება, ასეთი რჩევის გამო ადამიანს ხელი პირდაპირ დაადო და თან იმ ჭაში აფურთხო, საიდანაც შვიდი წლის განმავლობაში ანკარა წყალს სვამდი!

ეკა ბესელია იმუქრება, მომავალში გამოვალ და უფრო მეტს მოვყვებიო. აი, ეს არის საბედისწერო შეცდომა, რის შემდეგაც (ვისაც ჭკუა აქვს) აღარავინ გენდობა. კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ: 2012 წლის შემოდგომაზე, როცა ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის შექმნა დაასრულა, ყველას გამოუცხადა, ახლა ერთი ვადით კი შეგიყვანთ პარლამენტში, მაგრამ შემდგომში ყველაფერი თქვენზე იქნება დამოკიდებული, იშრომეთ, ილვაწეთ, ხალხს თავი მოაწონეთ, ჰა ბურთი, ჰა მოედანიო. მაშინ ყველამ დიდი მონდომებით დაუკრა ტაში, მაგათ ეგონათ (იფიქრეს), ჯერ ერთი, 4-წლიანი ციკლი არასოდეს დამთავრდებოდა და მეორეც – ოღონდ ახლა შევიდეთ პარლამენტში, თავის მოწონებას რა უნდაო? სწრაფად გავიდა პირველი ვადა, ვინც არ ჩაწერეს მეორე „კრუგზე", დაიბოღმა, გაიბერა და ცალკე მონდომა სახელის მოხვეჭა (სანიკიძე, ბერძენიშვილები და მათი მსგავსნი), ოღონდ ივანიშვილის ლანძღვის ხარჯზე. ზოგნი ჩაწერეს, მაგრამ მერე სათავიანთოდ ვერ ჩამოთალეს სიტუაცია, ან წავიდნენ, ან კიდევ „დააპაშოლეს". პრინციპში, წავიდნენ რა, სადეპუტატო მანდატები ისევ ჯიბეში უდევთ და იძახიან, დამოუკიდებლები გახლავართო. წასვლა ვიცი მე, მანდატს რომ დადებ, ქუდს დაიხურავ და ჰაიდა, სახლში!

ეკა ბესელიამ განაცხადა, ვანო ზარდიაშვილს რომ სილა გავაწანი, ეგ სილა ბიძინა ივანიშვილსაც ეკუთვნოდაო. არა, გაიგონეთ? ბიძინასაცო!

იცით, კიდევ რა მიკვირს და მაფიქრებს? ვინც კი ბიძინა ივანიშვილთან ახლოს გაიარა, ან შეხვდა, რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ძალიან დიდი „კომპრომატი" ჩაიგდო ხელში და სამომავლოდ ინახავს. დაუკვირდით, ვინც კი „ქართული ოცნებიდან" წავიდა, ან გაუშვეს, ვინც კი „ქართულ ოცნებაზე" გაბრაზდა, ყველა იწყებს ყბედობას, თუ როგორი კულუარული შეხვედრები ჰქონდათ ივანიშვილთან, როგორ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს, ვინ ესწრებოდა ამ საუბრებს და ასე შემდეგ. თან რაღაცას ამბობენ, თან რაღაცას მალავენ, ინტრიგას გვიტოვებენ, ბოლომდე არ იხსნებიან... აი, მოვა დრო და ყველაფერს ვიტყვითო. როგორც ვნახეთ, ერთი-ორმა ისიც კი იკადრა, „დიქტოფონი" შეეტანა და საუბრები ჩაეწერა (მაგალითად, ზაზა ოქუაშვილმა). უკაცრავად, მაგრამ ასეთ საქციელს კულტურულად ჰქვია შანტაჟი, ხოლო მუშურ-გლეხურად – ჩათლახობა!



კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: საერთოდ, ბიძინა ივანიშვილს აქვს ნიჭი, ადამიანებს ელაპარაკოს რევერანსების გარეშე, პირდაპირ და დაუფარავად. ის თავისი ბუნებით უბრალო ადამიანია და სწორედ ეს მომენტი აბრიყვებს ძალიან ბევრს. მასთან „გაშინაურებულ" ტიპებს ჰგონიათ, არიქა, ბიძინა მხოლოდ ჩვენი მესაიდუმლეა, ისეთ რაღაცებს გვიყვება, სხვას რომ არასოდეს ეტყვისო. ასეთებს ავიწყდებათ ერთი მთავარი – ამ კაცს ნამდვილად შეუძლია ურთიერთობა, მაგრამ თუ დაიწყებ ამ ურთიერთობის გატანას ზღურბლს იქით, ეგრევე მოგიშორებს... უფრო სწორად, კონტაქტს შეწყვეტს. პრინციპში, ასეც უნდა იყოს, ცხოვრებაში ჩვენც ასე ვმოქმედებთ, შინაურული ამბების გამტანთ ეგრევე ვიშორებთ!

რატომ ცდილობენ, ოდესღაც ბიძინა ივანიშვილის მიერ მადლმოსხმულნი და კარგად ნაპატივებნი, გამოვიდნენ და დაიწყონ ლაყბობა, გამოიგონონ ცხელ-ცხელი, ვითომ სკანდალური ზღაპრები? რატომ ცდილობენ, კულუარული საუბრები წარმოგვიდგინონ თავიანთებური ინტერპრეტაციით და დაუსაბუთებელი დასკვნებით? როგორც ჩანს (ეს ასეა), ადამიანებს გვერდით რომ დაიყენებ, რაღაცას გაანდობ, შინაურულად დაელაპარაკები, დეპუტატობას ან სხვა თანამდებობას უბოძებ, დროთა განმავლობაში ავადდებიან განდიდების მანიით. უმეტესობას უჩნდება სურვილი, თავი დააღწიოს თავისივე შემქმნელის აჩრდილს და იწყება ვითომ ურჩობა, ვითომ პროტესტი, ვითომ დამოუკიდებლობისთვის და სამართლიანობისთვის ბრძოლა, სინამდვილეში კი ეს არის ე.წ. პოლიტიკაში თავის დამკვიდრების ხელახალი მცდელობა.

ეკა ბესელიამ ახლა დაიწყო საკუთარ თავთან ბრძოლა, ჯერ კიდევ შეიძლება დაფიქრება, ნამდვილად არის საამისო დრო. ვანო ზარდიაშვილი ამბობს, ეს ქალი კორუმპირებულიაო. ეს ქალი ამბობს, ზარდიაშვილია კორუმპირებული და ადეიშვილის ხელის ბიჭიო. ზერელედ თუ შევხედავთ ამათ კინკლაობას, ორივე მართალია, ერთი მხრივ, პირადი ცხოვრებაა ხელშეუხებელი, მეორე მხრივ – არ შეიძლება, ყველას ადეიშვილის ხელის ბიჭი უძახო. ამით შეურაცხყოფას აყენებ ასი ათასობით ადამიანს, ვინც იმ პერიოდში საჯარო სამსახურებში მუშაობდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ბესელია უფრო გადადის დაუკრეფავში, რადგან ყოველ წვრილმანზე ივანიშვილს ემუქრება. ეტყობა, ჰგონია, ბიძინა ყოველ საღამოს იბარებს ზარდიაშვილს და დავალებას აძლევს, ხვალ ეკას ასე და ასე უკბინე, ზეგ კი ამა და ამ ადგილზე უჩქმიტეო. ეკას ილუზიები ბავშვურია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობს ივანიშვილს, მაინც ჩანს, რომ ძალიან კარგად ვერ იცნობს. უმადურობა კი, არაერთხელ დავწერე, ყველაზე დიდი ცოდვა და ყოველთვის საბედისწერო შეცდომაა.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რატომ არავინ ახსენებს გიგა ბოკერიას, მისი ბრძანებით როგორ ჩაცხრილეს 7 პატიმარი?

## ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკლავიშვილთან



**— მამა ბასილ, თქვენ სასულიერო პირი ბრძანდებით, თუმცა ხშირად გამოხატავთ პოლიტიკურ შეხედულებებს. მოძღვრებს აქვთ უფლება პოლიტიკაში ჩარევის?**

— სახელითა მამითა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

ჩვენთან არს ღმერთი.

პოლიტიკაში სასულიერო პირი არ უნდა ერეოდეს, მაგრამ, როცა ქვეყანა გასაჭირშია, ყველა ვალდებულია გამოხატოს თავისი აზრი.

აღმაშფოთებელია, რომ ნაციონალები, ანუ კრიმინალები კოჰაბიტაციის წყალობით ისე გათამამდნენ, ნაცვლად იმისა, რომ სასჯელს იხდიდნენ, პირიქით ხელისუფლებაში მოსვლით იმუქრებიან...

პარლამენტი საცირკო სანახაობის შესაკრებელს დაემსგავსა. დავიღალეთ გაუთავებელი დაპირისპირებით, ურთიერთშეურაცხყოფით, სიძულვილით. ქალებიც კი ჩართულნი არიან მუშტი-კრივში.

**— მამაო, თქვენი გულისტკივილი ყველა პარლამენტარს ეხება?**

— რა თქმა უნდა, ყველას, ვინც ხალხისთვის არ ზრუნავს, არ სტკივათ მათი ტკივილი. ამ რეალობით კმაყოფილნი, ქართველი ერის მტრებს: ბოკერიას, ყაჩაღბობოხიძეს და მათ დაჯგუფებას, ხელს აძლევს ხელისუფლების ინერტულობა, ისინი მხოლოდ ასარევად ზიან პარლამენტში. გსმენიათ პარლამენტის მიერ მიღებული რომელიმე კანონისთვის თანხმობა მიეცათ ნაციონალებს? ნუთუ მათი მოსაწონი არაფერია? მე დღევანდელ მდგომარეობას შევადარებდი ბატონი ზვიადის პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდს, რამეთუ მაშინაც ე.წ. ინტელიგენციას, (რომელთაც ლომის წილი მიუძღვით საქართველოს დანგრევაში), ზვიადის გაკეთებული არაფერი მოსწონდათ. პიროვნულად უპირისპირდებოდნენ მას. ანალოგიური სიტუაციაა დღეს. თვითმარქვია ინტელიგენცია — იგივე საქართველოს მტრები ებრძვიან არა მთავრობას, არამედ თვით საქართველოს, „თავისუფლების ინსტიტუტში“ გაზრდილი ე.წ. ინტელიგენტი, დავით ზურაბიშვილის აზრით: „მართლმადიდებელი ეკლესია — საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საფუძველზე ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახელი ყოფილა“.

ჩემ ინტერვიუებში ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ ბოკერია ბოროტმოქმედია. მაშინ, როცა ჩვენ ვიბრძოდით მართლმადიდებლობის დაცვისათვის, ის ქვებით დაგვდევდა. გიგა ბოკერია 8 ადამიანის მკვლელია. პარლამენტარ ირმა ინაშვილს, რომელსაც ისე ეზიზღება ბოკერია, როგორც ჩვენ. სისტემატიური კამათი აქვს მასთან, მაგრამ რატომ არ ახსენებს მას, სოროსის ლეკვს, მისი ბრძანებით როგორ ჩაცხრილეს 7 პატიმარი? მე მაშინ ციხის საავადმყოფოში ვიმყოფებოდი. მაშინ, როცა მიცვალებულები მორგში შეგვყავდა, ერთ პატიმარს, გვარად ღვინიაშვილს, გულმა უმტყუნა და იქვე გარდაიცვალა.

გამცნებთ ერთი პატიმარის მონაყოლს, (გვარად წიკლაური, ვარკეთილიდან იყო. ის ჰყვებოდა. როცა გიგა ბოკერია ბაჩო ახალაიასთან ერთად შემოვარდა ციხეში, პირდაპირ იძლეოდა სროლის ბრძანებასო. მე ის ხმაზე ვიცანიო (ერთმანეთს კარგად ვიცნობდითო ვუთხარი. გიგა რას შვრები და ნიღაბი ჩამოვხსენიო: მან მიცნოო, შემაგინა და ავტომატიანს უთხრა ესროლეთო. 7 ტყვია დამახალესო, საბედნიეროდ, ის ოპერაციის შემდეგ გადარჩა. მოხრილი დადიოდა. ღვთისმგმობს უამრავი ბოროტება აქვს ჩადენილი, დღეს კი პარლამენტში ზის. აი, ყველაზე დიდი შეცდომა მმართველი გუნდის. გვესმის, ვხედავთ და ვკითხულობთ, რომ მსოფლიოს ღმრთისგან შორს მდგომი მაფია მართავს, მასში ჩართულია სისხლისმსმელი სააკაშვილი, რომელიც ქაოტურად დაბორიალობს მსოფლიოს გარშემო და იქედან დირიჟორობს პირწავარდნილ მოღალატეებს, საქართველოს დაუძინებელ მტრებს, კიდევ ერთი პარადოქსი: ამას წინათ მოვისმინეთ ევროკავშირის დეპუტატის ნაბოდვარი: თურმე გვინდა-არ გვინდა ბოკერიას შეყვარება მოგვიწევს. ბოკერია მაგათი პარტნიორი ყოფილა. ყველამ კარგად ვიცით, მაგან და სააკაშვილმა როგორ გაყიდეს კოდორი და სხვა სტრატეგიული ობიექტები მილიარდიან გრანტებზე. კიდევ რას ჰპირდება მათ ეს უსინდისო. დარჩა გასაყიდი რაიმე?

**— 20–21 ივნისის მოვლენებშიც აქტიურობდა ბოკერია.**

— ამ საშინელ ღამეს, რომელსაც ნაციონალების სატანური სექტის წარმომადგენლები გავრილოვის ღამედ მოიხსენიებენ, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო. ის დაიგეგმა უკრაინაში, უშუალოდ სააკაშვილის მიერ. არავინ საუბრობს იმაზე, რომ სააკაშვილს იმ ღამესვე ჰქონდა დაკომპლექტებული დამნაშავეთაგან შედგენილი მთავრობა. ზოგიერთებს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემს გადაბირებასაც კი ცდილობდა ერთი სასულიერო პირი, რომელიც 17 ივნისს ჩემთან იყო მოსული და დარწმუნებით ამბობდა, რომ მთავრობა მალე შეიცვლებოდა.

იმ საშინელ ღამეს სრულიად საქართველო გულგახეთქილი უყურებდა. შორსმჭვრეტელი მიხვდება, რომ ნაციონალები, „ევროპული საქართველო“ თუ სხვა პარტიები, ყველანი ერთნი არიან. მათ წინასწარ ჰქონდათ გათვლილი, როგორც რომან გოცირიძე აცხადებს, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ყოფილიყო. ეს აშკარად იკვეთებოდა, იწვევდნენ პოლიციას. წარმოიდგინეთ, 2-ჯერ გაიწმინდა პარლამენტის წინ მიმდებარე მოედანი, მაგრამ ისინი კვლავ უკან ბრუნდებოდნენ და შეტევაზე გადადიოდნენ. მადლობა უფალს, გიორგი გახარიამ იხსნა საქართველო 1991–92 წლების მოვლენების განმეორებისაგან.

**— მამაო, შეგიძლიათ გაგვაცნოთ სია, რომლითაც ნაცების აზრით, მომავალი მთავრობა კომპლექტდებოდა?**

— კი, ბატონო, მოგახსენებთ, მაგრამ, გასაკვირია, რატომღაც ამ სიაში დორბლიანი სააკაშვილი არ ფიგურირებს. ეტყობა, თავის თავს





პრემიერ-მინისტრად მიიჩნევდა. აი ეს სიაც:

1) საქართველოს პრეზიდენტი — გიორგი ვაშაძე

2) პარლამენტის თავმჯდომარე — ნიკა მელია

3) შინაგან საქმეთა მინისტრი — გია ბარამიძე

4) თავდაცვის მინისტრი — ირაკლი ოქრუაშვილი

5) საგარეო საქმეთა მინისტრი — გიგა ბოკერია

6) მთავარი პროკურორი — დავით უსუფაშვილი

7) უშიშროების მინისტრი — დავით ბაქრაძე

8) ფინანსთა მინისტრი — რომან გოცირიძე

9) განათლების მინისტრი — სალომე სამადაშვილი

10) საქართველოს პატრიარქი — პეტრე ცაავა.

ეს გახლავთ საქართველოს „გადამრჩენელთა“, უფრო სწორად მოღალატეთა სია, რომელნიც ქართულს არაფერს ცნობენ, სამაგიეროდ, ძალიან შორს იხედებიან — ოკეანეს გაღმა. იქ ხედავენ ხსნას. ასევე დასავლეთიდან, საიდანაც მოედინება გრანტები საქართველოს დანგრევის საპირწონედ.

დარწმუნებული ვარ, პირსისხლიან სააკაშვილს თუ ვერაგული ჩანაფიქრი გამოუვიდოდა, თავისი შავბნელი საქმეების თანამონაწილეებს დაიყენებდა გვერდით, კრიმინალებს, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

იქედან გამომდინარე, რომ ამ მოღალატეთა ჯგუფს არ გამოუვიდათ ჩანაფიქრი, მათ რუსთაველზე გააგრძელეს გრძელვადიანი ეგზალტირებული ე.წ. აქციები. ახალგაზრდებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ აქციას, გადავხედოთ მათ მშობლებს: ბერძენიშვილები რომელნიც, არ ცნობენ ბუმბერაზ ილიას, აკაკის, ვაჟას, სამაგიეროდ, ცნობს დეისაძეებს, ქარუმიძეებს, ბურჭულაძეებს, ბუღაძეებს და ძმათა მათთა. ჟორჟოლიანი, ხოშტარია და ა.შ. უსუფაშვილები, ცოლ-ქმარი, საქართველოში ქაჯებად რომ მოიხსენიებენ, ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც ბრძანება გასცა ეკლესიის დარბევისათვის, გია ბარამიძე-აფრასიძეების ოჯახის ამომწყვეტელი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. განსაკუთრებით გამოვყოფდი სამ ქალბატონს: ხოშტარიას, სამადაშვილს და ბოკუჩავას. საოცარია, როგორ დაიტია მათმა სულიერმა მხარემ ამდენი ცინიზმი, თავხედობა, სიძულვილი, უტაქტობა, ამბიცია, თვითგანდიდება. ვერ აცნობიერებენ, რომ ერის ძირითად ნაწილს ეზიზღება. ნუ სპეკულირებენ სიტყვის თავისუფლების გამოხატვით. თავიანთი უმართავი საქციელით ავყია დედაკაცთა სახეს წარმოადგენენ. ვურჩევდი მათ, კარგად წაიკითხონ საქართველოს ისტორია. ბევრ რამეს შეიძენენ.

ნაც. სექტის წარმომადგენლები ღიად ებრძვიან მართლმადიდებლობას. მათთვის მთავარი მიზანი სისტემატიური არეულობა იყო. ავი ძაღლებივით ჩასაფრებულნი არიან და როგორც კი სადმე რაიმე საგზაო შემთხვევა მოხდება, ვინმე დაიღუპება, სადმე ხანძარი მოხდება, ან თუნდაც სხვა რაიმე, იმ წუთშივე ერთმანეთის მიყოლებით, გაუთავებელი ტრაფარეტული პრეტენზიებით ყოველივეს ბიძინა ივანიშვილს აბრალებენ. ქართველი ხალხის სახელით ვაფრთხილებ მათ: საქართველოს სახელით ნუ იმუქრებიან 10 000, თუნდ 20 000 კაცი სრულიად საქართველოს არ წარმოადგენს. საზოგადოებამ როგორც კი გაიგო ვისი შვილები იდგნენ იქ მშობლებთან ერთად, ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი, ზურგი აქციეს და ბოლოს თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ. მათმა გაუთავებელმა ხმის ჩახლეჩამდე წივილ-კივილმა შედეგი ვერ გამოიღო, ვერც გამოიღებს, რამეთუ ყოველივეს ღმერთი მართავს დედა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში: „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იხსნას იგი უფალმან“. (ფსალმუნი. 33–20).

**— მამაო, სახელმწიფო გადატრიალება არ შედგა, სააკაშვილი ახალ გეგმებს სახავს?**

— ჭეშმარიტად, არ შედგა, მაგრამ ქართველმოძულე სააკაშვილი არ გაჩერდება. მის მორიგ მზაკვრულ გეგმას წარმოადგენს ვინმე თავისიანი მოაკვლევინოს და ივანიშვილს დააბრალოს. ყველაზე დიდ არეულობას არჩევნების წინ ეცდებიან. ის გამძვინვარებული მხეცივით არის გენერალური გეგმა ჩაეშალა სატანის მსახურს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცხოა წმიდა წერილები, სახარება, ფსალმუნები, ლოცვები. მაინც შევახსენებდი დავითის ფსალმუნიდან ამონარიდს: „შთავარდეს იგი მთხრებელსა მას, რომელიცა ჰქმნა“ (დავითის ფსალმუნი 7–16) განვუმარტავ: ორმოს, რომელსაც უთხრი სხვას, თვით ჩავარდებით.

მე, ამ ხნის ადამიანი, ღვთის მსახური, რომელმაც მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერ შრომაში გავატარე, ჩემი სამშობლოს, სარწმუნოების პატივად დავდე პატარა ქვაკუთხედი, ყველა მოვლენებს ყურადღებით ვათვალიერებ. როცა ხელისუფლება ერის სასიკეთო საქმეს აღასრულებს, მადლობას ვწირავ უფალს, როცა შეჭირვებულ მთავრობაზე გულნატკენი ხალხის უკმაყოფილებას ვისმენ, გული მეკუმშება და მთელი არსებით ვნატრობ, ხელისუფლებამ გაუუმჯობესოს პირობები დაბეჩავებულ ხალხს.

არ დავმალავ და ვიტყვი: ამჟამად იმედს პრემიერ-მინისტრზე გიორგი გახარიაზე ვამყარებ. ვურჩევ ბატონ გიორგის: მიენდოს უფალს, ამ ნაძირლების მიმართ სათანადო, კანონიერი ზომები გაატაროს. ერი მას იმედით შეჰყურებს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 8

# მამუკა ხაზარაძეში ილია ჭავჭავაძის სული ჩასახლდა?

## პოლიტიკური ნოველა



- იცით, რას გეტყვით, ბატონებო და ქალბატონებო? ახლა ისეთ სასიხარულო ამბავს გაუწყებთ, შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ როდესაც რეალობას თვალებში ჩახედავთ, დარწმუნდებით, რომ მე, მამუკა ხაზარაძე სიმართლეს ვღაღადებ!

დარბაზში მდუმარება ჩამოწვა, ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით. მხოლოდ ერთმა გაბედა და თქვა:

- აღმოსთქვით, ბატონო მამუკა, ჩვენ გვჯერა თქვენი!

- ვიცი, რომ გჯერათ, სხვა შემთხვევაში აქ არ იჯდებოდით და ტაშსაც არ დამიკრავდით!

- დიახ, ჩვენ გიკრავთ ტაშს, რადგან დარწმუნებულნი ვართ, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ ქვეყნის გადარჩენა, ბიძინა ივა-



ნიშვილის კლანჭებიდან გამოხსნა! – წარმოსთქვა კეკლუცმა ქალბატონმა წინა რიგებიდან და დარბაზში მსხდომთ ამაყად გადახედა.

- ბატონებო და ქალბატონებო, ახლა კი საქმეზე გადავიდეთ... იცით, მინდა დიდი სიხარულით და აღტყინებით გაუწყოთ, რომ... სხვათა შორის, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, ეს ამბავი გამემხილა თუ არა, ბოლოს მაინც გადავწყვიტე, გაგანდოთ, რადგან ეს მეხება არა მხოლოდ მე, მამუკა ხაზარაძეს, არამედ ეხება ქვეყანას, სახელმწიფოს, მის მომავალს, გეხებათ თქვენ, თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, შთამომავლობას!

- დიახ, ბატონო მამუკა, თქვენს მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა ეკუთვნის ქვეყანას, სახელმწიფოს, ეკუთვნით მომავალ თაობებს, ჩვენს ოჯახებს! – წამოდგა უკანა რიგებში შუახნის მამაკაცი.

- დიახ, ჩემო ჯემალ, სწორედაც რომ ასეა, ჩვენ უნდა ავაშენოთ სრულიად ახალი სახელმწიფო, სადაც საერთოდ ვერ შემოვა რუსეთში ნაშოვნი ფული, ვერ შემოვა ვერც პანამიდან და ვერც გვატემალადან. ამიხსენით, რა უნდა საქართველოში რუსულ ფულს, თანაც პანამიდან შემოტანილს? მე პირადად ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული არაფერი მინახავს, რა გაუკეთებია ამ კაცს საქართველოსთვის? ხალხო, აქ ფული უნდა შემოდიოდეს მხოლოდ ლონდონიდან, ჩემი ბანკის გავლით. აი, ეს არის მამულიშვილობა, მხოლოდ ასეთი თავგანწირული მიდგომებით გაბრწყინდება ივერია!

დარბაზში მსხდომნი ფეხზე წამოდგნენ. გაისმა ხშირი ტაში. მამუკამ აღტყინებულ საზოგადო-



ებას მოწიწებით დაუკრა თავი და განაგრძო:

- ამხანაგებო... უკაცრავად, მეგობრებო, მე მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე თვის წინათ, ერთ ბედნიერ ღამეს, როდესაც ქვეყანაზე ფიქრით თავი მქონდა გახეთქვაზე, უცებ ჩემში ჩასახლდა ილია ჭავჭავაძის სული!

დარბაზში ისევ გაისმა მქუხარე ტაში.

- დიახ, ეგრეც ვიცოდით, ჩვენ ამას ვგრძნობდით, მაგრამ რაკი ჩვენი ინტუიცია დაუდასტურებელი იყო, ვერაფერს ვამბობდით! – აკივლდა წინა რიგებში მჯდომი კეკლუცი ქალბატონი, რომელიც ახლა უკვე ველარ ჯდებოდა და სიხარულისგან ცმუკავდა.

- ბატონო მამუკა... უკაცრავად, ბატონო ილიავ, იქნებ წვრილად მოგვიყვეთ, როგორ მოხდა თქვენში ჭავჭავაძის სულის გადმოსახლება? ისე, არც მიკვირს, ისიც ხომ თქვენსავით ბანკირი იყო, სხვაგან სად უნდა გადასახლებულიყო, თუ არა თქვენში?! – იღრიალა წვეროსანმა მამაკაცმა.

- დიახ, მე მისი სული გამომეცხადა და პირდაპირ მითხრა, შვილო, მამუკ, ამიერიდან შენ იქნები ჩემი დიადი საქმეების გამგრძელებელიო... სამწუხაროდ, რჯულძაღლებმა მომიღეს ბოლო წიწამურთან, ბევრი რამ ველარ მოვასწარიო... მას შემდეგ, რაც ბერბიჭაშვილმა მესროლა, აეგრე დავწანწალობ, კაცი ვერ ვნახე, რომ ჩავსახლებულიყავიო, ადრეც მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ რაკი პოლიტიკაში არ ერეოდი, ვერ გავბედეო. გესმით, ხალხო? ილიას სულმა ჩემთან მოსვლა ვერ გაბედა, ახლა კი, როცა პოლიტიკაში შემოვაბიჯე ასე ბრწყინვალედ, მოვიდა და ნდობაც გამომიცხადა, განა ეს არ არის საოცრება?!

- ესე იგი, ახლა ჩვენ ილია ჭავჭავაძე გველაპარაკება?! – წამოიძახა ქალბატონმა, რომელიც გაპუდრულ სახეს შავი მარაოთი ინიავებდა.

- ილიააა, ქალო, აბა, ვინ გველაპარაკება, განა სხვას შეუძლია, ასეთი სიბრძნეები გადმოაფრქვიოს? – მიუგო დეკოლტიანმა ქალბატონმა და ცხვირი აიბზუა.

- დიახ, ამიერიდან მე ვარ არა მამუკა ხაზარაძე, არამედ ილია ჭავჭავაძე... მეგობრებო, თავხედობაში ნუ ჩამითვლით, ამას ითხ-



ოვს თვით ილიას სული. წარმოიდგინეთ, რომ მე არაფერ შუაში ვარ. ახლა კი დაწვრილებით იმაზე მოგახსენებთ, თუ რა დიადი საქმეები დარჩა ილიას, რაც აწი ჩვენი გასაგრძელებელია: უპირველესად, სასწრაფო წესით უნდა შევცვალოთ ეს ხელისუფლება არჩევნების გზით, როგორც სულმა შთამაგონა, ეს ქვეყანა რევოლუციას და არეულობას ველარ გაუძლებს, თორემ მაგასაც ვიზამდით, არ არი პრობლემა. სულმა ისიც მითხრა, თუ ივანიშვილი მინისტრებს ხსნის და ნიშნავს, შენ ვერ მოხსნი და დანიშნავო? რაც მთავარიაო, ქვეყნის მმართველი რომ გახდები, ანაკლიას მიმიხედეო, მანდ ღრმაწყლოვანი პორტის აშენებაზე მე და აკაკი წერეთელი ოდითგანვე ვოცნებობდით, მაგრამ ნიკო ნიკოლაძემ ჩაგვიშალაო... აი, ისე, როგორც შენ ბიძინა ივანიშვილმა ჩაგიშალაო, თან დასძინა, თითო ნიკოლაძე ყველა ეპოქას ჰყავს, მაგისი არ შეგეშინდესო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვგავარ იმ კაცს, ვინმესი და რამისა რომ ეშინია?!

- და ბოლოს, მეგობრებო, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, – განაგრძო ილია ჭავჭავაძემ, – როდესაც ამ ხელისუფლებას გავისტუმრებთ, ვინ იქნება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი?!

- რა თქმა უნდა, თქვენ, განა არ იმსახურებთ?! – წამოხტა პირველ რიგში მჯდომი ლაშა ბუღაძე, რომელიც აქამდე რატომღაც არ აქტიურობდა.

- დიახ, ბატონო ლაშა, მე ვიქნები პრემიერ-მინისტრი, ამ თანამდებობაზე ნამდვილად გამაჩნია პრეტენზია, მაგრამ თუ ჩემზე ჭკვიანი ვინმე გამოჩნდება, მზად ვარ, დავუთმო. აბა, მითხარით, ხართ ვინმე ამ დარბაზში ჩემზე ჭკვიანი?!

არააააა, არაააააა, არაააააააააა, გაისმა ჯერ კანტიკუნტად, შემდეგ კი ყოველივე ღრიანცელში გადაიზარდა, ყველა ერთხმად აფიქსირებდა თავის პოზიციას.

- ბატონო ილიავ, როდესაც თქვენ გახდებით ქვეყნის პრემიერი, მე ხომ დამნიშნავთ კულტურის მინისტრად? – მიმართა პრინციპულად ლაშა ბუღაძემ და შემდეგ დარბაზს მოავლო თავისი არწივისებრი მზერა, ემანდ ვინმე ხომ არ არის წინააღმდეგიო?

- ლაშა, ვერ დაგიმალავ, ჩემო მეგობარო, შენ უკვე ხარ კულტურის მინისტრი... ოღონდ ერთი



პირობით, პირველ მოადგილედ უნდა დანიშნო კოტე ყუბანეიშვილი, რომელიც უხელმძღვანელებს პოეზიის მიმართულებას. ალბათ, იცი, კოტე არის მეტად ერუდირებული და პერსპექტიული ახალგაზრდა. მეორე მოადგილედ დანიშნავ ერეკლე დეისაძეს, რომელიც უხელმძღვანელებს მუსიკალურ ღონისძიებებს და ასევე პროზის განყოფილებას. ჰო, კიდევ ერთ მოადგილედ დანიშნავ ნანუკა ჟორჟოლიანის გოგოს, მაგან ბევრი ირბინა და იყვირა, გადადგეს გახარიაო. მოდი, ჩავაბაროთ ქუჩის კულტურა, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია!

- დიახ, ბატონო მამუკა... უკაცრავად, ბატონო ილიავ, ჩვენი აზრები ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს, მეც სწორედ ამ ადამიანების დაწინაურებაზე ვფიქრობდი. თუმცა ერთი ადამიანი გვრჩე-



ბა დაუსაქმებელი, არც კი ვიცი, როგორ შემოგკადროთ, – დაუწია ხმას ბუღაძემ.

- აბა, რომელი? ჩვენს მომხრეებს შორის არც ერთი არ უნდა დარჩეს დაუსაქმებელი!

– შოთა გაგარინი, ბატონო ჩემო, მთელი ზაფხული რუსთაველზე იდგა, „დაკაფჩონდა“ ბიჭი.

- ააა... დიღმელაშვილი? ჰო, მართლაც მაგრად დაიღალა ეგ ადამიანი, სხვები რომ პლაჟებზე კოტრიალობდნენ, მაგას მიკროფონი ეჭირა ხელში და კაცობრიობას ამცნობდა რუსთაველზე მიმდინარე მოვლენებს. ვატყობ, გაგარინ-დიღმელაშვილს მიკროფონი უყვარს ძალიან, ჩავაბაროთ ჩემი ტელევიზია „არტარეა“, რომელიც გამოირჩევა მაღალი რეიტინგით და დახვეწილობით!

- ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი კაცი ჰყავს სათავეში! – გაებადრა სახე ბუღაძეს.

ლე-ლო, ლე-ლო, ლე-ლო, საქა-რთვე-ლო! – აგუგუნდა დარბაზი. ვიღაცამ სცენაზე დაფნის გვირგვინი აარბენინა და ახალ ილიას თავზე დაადგა. ილიამ მადლიერების ნიშნად დაიჩოქა, თვალთაგან ცრემლი წამოუვიდა, უკვე აშკარად გრძნობდა, რომ მისი გარდასახული სული ქართველი ერის კუთვნილება იყო.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# მომავალი გლობალისტებს არ ეკუთვნით, მომავალი ეკუთვნით პატრიოტებს!!!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, მოგეხსენებათ, ის ფორმატია, სადაც მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები, დიპლომატები, პოლიტიკოსები საერთაშორისო პოლიტიკაზე მსჯელობენ. ხშირად გაეროს მაღალ ტრიბუნიდან საუბრობენ სამყაროს სამომავლო მოწყობის გზებზე, არსებული პრობლემების გადაჭრის თაობაზე. წლევანდელ, 74-ე გენ.ასამბლეის დაწყებამდე პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ, რომ მსოფლიოში არსებული ყველა პრობლემის მოგვარება თუ არა, უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკური სიტუაციის შერბილება მოხერხდებოდა. თუმცა, არ გამართლდა მათი მოლოდინი.

სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური ფორუმი, ამერიკის შეერთებულ შტატებში აგორებული თუმცა, ჟურნალისტების კითხვაზე, იყო თუ არა მასზე ზეწოლა ტრამპის მხრიდან, უპასუხა: „..ჩემზე ზეწოლას ვერავინ განახორციელებს, რადგან დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტი ვარ. ჩემზე ზეწოლის განხორციელება მხოლოდ ჩემს ექვსი წლის შვილს შეუძლია“.



წარმომადგენლობით პალატის მიერ მოკვლევის დაწყებას და იმპიჩმენტის მცდელობას დონალდ ტრამპმა ირონიულად შეაფასა და „კუდიანებზე ნადირობის“ ახალი ეტაპის დაწყება უწოდა. ამის გარდა გამოაქვეყნა მოსახლეობისადმი ვიდეო მიმართვა, „... დემოკრატი პოლიტიკოსები ბევრს იტყუებიან, იმპიჩმენტის მცდელობა აშშ-ის პოლიტიკურ ისტორიაში უდიდესი სიცრუეა. დემოკრატებს უნდათ, რომ წაგართვან ხელმისაწვდომი სამედი-





ცინო მომსახურება, თავისუფლება და სხვა უფლებები თუ სიკეთე. დიახ, რესპუბლიკელებს გვსურს იმ ჭაობის ამოშრობა, რომელიც არის დღეს ქვეყანაში“ — განაცხადა ტრამპმა. ვიდეო მიმართვის გარდა, დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებს გულდაწყვეტილმა უთხრა: „...ასეთი დიდი ღონისძიება მიმდინარეობს, საინტერესო დღეებია, მნიშვნელოვანი შეხვედრებია დაგეგმილი, დემოკრატები კი მხოლოდ იმპიჩმენტზე ლაპარაკობენ“.

პოლიტოლოგების უმრავლესობა ზელენსკისა და ტრამპის სატელეფონო საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერის გამოქვეყნებას არარეალურად მიიჩნევდა. მსგავსი პრეცენდენტი მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში არ არსებობდა, რომელიმე ქვეყნის მეთაურს გაესაჯაროებინა კოლეგასთან კონფედენციალური საუბარი. თუცა, დონალდ ტრამპმა შეასრულა დანაპირები და ორი პრეზიდენტის საუბარი უკვე სკანდალის ფონზე მიმდინარეობდა. აშშ-ის პრესის ძირითადი ყურადღება დემოკრატებისა და რესპუბლიკელების დაპირისპირებაზე იყო გადატანილი. საინტერესოა, რომ აშშ-ის ტელეარხების უმრავლესობას პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გაეროში სიტყვით გამოსვლა არ გადაუციათ. სამაგიეროდ უჩვენებდნენ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის პარალელურ გამოსვლას ამომრჩევლებთან, რომლებმაც ტრამპი კვლავ დაადანაშაულა უფლებამოსილების გადაჭარბებაში.

ურთიერთობა, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის უკიდურესად რომ არის დაძაბული, ამას მსოფლიოს პოლიტოლოგები ერთხმად აღირებენ. აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში უმრავლესობაში დემოკრატები არიან. გენასამბლეის მსვლელობისას, კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსმა, რომელიც დემოკრატიული პარტიის წევრია, ხელქვეითებს დონალდ ტრამპისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების განკარგულება მისცა. ამ გარემოებამ ექსპერტები გააოცა, რადგან საკანონმდებლო ორგანოს არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია. ამასთან, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება კონგრესის სპიკერმა, სატელეფონო საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერის გასაჯაროობამდე დაანონსა.

განსაკუთრებულ ინტერესს უკრაინის პრეზიდენტის ვლადიმირ ზელენკის პოზიცია იწვევდა. გარკვეული პერიოდი ტრამპთან სატელეფონო საუბარზე თავს იკავებდა.

ხელმისაწვდომია.

გამოქვეყნებულ ჩანაწერში, ექსპერტების განცხადებით, არაფერია, რომელიც დემოკრატებს იმპიჩენტისთვის გამოადგებათ. ცნობილი გახდა, რომ დონალდ ტრამპი ვლადიმირ ზელენკის სთხოვს გააგრძელოს ანტიკორუფციული მოკვლევა, რომელიც პოროშენკოს სათავეში ყოფნისას დაიწყეს. როგორც ირკვევა, 3 წლის წინ ჯო ბაიდენი ტრაბახობდა, თუ როგორ გაათავისუფლებინა უკრაინის მთავარი პროკურორი ვიქტორ შოკინი პოროშენკოს 6 საათში და შეაჩერებინა ანტიკორუფციელი მოკვლევა, რომელშიც მისი შვილი ხანტერ ბაიდენიც იყო გარეული. ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა ხანტერი სამხედრო სამსახურიდან ნარკოტიკების სისტემატიური მოხმარების გამო დაითხოვეს. დონალდ ტრამპმა საუბრისას ზელენსკის შეახსენა, ყირიმი ობამას პრეზიდენტობისას დაკარგეთ, იგი არაფრით დაგეხმარათო. ზელენსკი უფრო შორს წავიდა და ტრამპს შესჩივლა გერმანია და საფრანგეთი არასათანადოდ გვეხმარებაო, რითაც გერმანელების გულისწყრომა დაიმსახურა.

პოლიტოლოგები იმპიჩმენტის დაწყებას, მით უფრო განხორციელებას გამორიცხავენ. ფაქტების არარსებობის გარდა პროცედურა დროში გაწელვადია. ამასთან საპრეზიდენტო ვადის მიწურულს იმპიჩმენტს არ ახორციელებენ. რაც მთავარია, აშშ-ის მოსახლეობის 59% იმპიჩმენტის წინააღმდეგია.



მსოფლიოს პოლიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსმა აშშ-ის სახელმწიფოებრიობას უდიდესი დარტყმა მიაყენა. მათივე განცხადებით, დაუშვებელია პრეზიდენტების კონფედეციალური საუბრების გასაჯაროება, რადგან ეს გარემოება უნდობლობას აღვივებს. ამასობაში დონალდ ტრამპი თავად გადავიდა შეტევაზე. სურვილი გამოთქვა პირადად შეხვდეს თავის ბრალმდებლებს. ტრამპის ადვოკატი რუდი ჯულიანი კორუფციული სქემების გასაშიფრად საკუთარ გამოძიებას ატარებს. სახელმწიფო დეპარტამენტმა კი ჰილარი კლინტონის, ამ უწყების ყოფილი ხელმძღვანელის მიმოწერის შესწავლა დაიწყო. ორი დღის წინ დონალდ ტრამპმა თანამდებობიდან გადააყენა აშშ-ს სპეც.წარმომადგენელი უკრაინაში კურტ ვოლკერი, რომელსაც ასევე კორუფციაში ადანაშაულებენ.

მადა ჭამაში მოდისო და დემოკრატმა კონგრესმენებმა სხვა პრეზიდენტებთან გამართული საუბრების სტენოგრაფიული ჩანაწერების გასაჯაროობაც მოითხოვეს. განსაკუთრებით რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან დიალოგი აინტერესებთ. ვნახოთ როგორ განვითარდება აშშ-ი შიდა პოლიტიკური პერიპეტიები. დონალდ ტრამპი ყველაზე ცუდი შედეგის ასაცილებლად ემზადება.

მსოფლიო პოლიტიკური მოწყობის სიახლედ უნდა ჩავთვალოდ დოლნად ტრამპის გაეროში გამოსვლა: „...თუ გსურთ იამაყოთ საკუთარი ქვეყნის თავისუფლებით, შეინარჩუნოთ სუვერენიტეტი, მშვიდობა, თუ გინდათ დემოკრატია, გიყვარდეთ თქვენი ერი. ბრძენი მმართველები პირელ ადგილზე თავის ქვეყნის, ხალხის ინტერესებს აყენებენ. მომავალი გლობალისტებს არ ეკუთვნის. მომავალი ეკუთვნის პატრიოტულებს, რომელთა ხელისუფლებები საკუთარ მოქალაქეებზე ფიქრობენ, პატივს სცემენ მეზობლებს და იმ განსხვავებებს, რომელსაც თითოეული ქვეყანა ქმნის“ — მიმართა ტრიბუნიდან დამსწრე საზოგადოებას დონალდ ტრამპმა. საყურადღებო განცხადებაა, რომელსაც ძირეულად გაანალიზება სჭირდება.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. გრანდიოზული სკანდალის ფონზე არავის ეგონა თუ შედგებოდა ტრამპი — ზელენსკის შეხვედრა. დიალოგი გაიმართა. საინტერესოა, რომ დონალდ ტრამპმა პირდაპირ უთხრა უკრაინელ კოლეგას „ეცადეთ პუტინთან მოილაპარაკოთ და თქვენვე მოაგვაროთ თქვენი პრობლემები“. ამის გაგონებაზე ზელენსკის სახე მოექცა... სავარაუდოდ ტრამპი იწყებს თავისი ერთ-ერთი პირობის შესრულებას, რაც მან წინასაარჩევნო პერიოდში განაცხადა, აშშ სხვა ქვეყნების საქმეში აღარ ჩაერევა. ექსპერტების შეფასებით ზელენსკი აშშ-ი სახელის მოსახვეჭად ჩავიდა, მაგრამ პაიკის როლში აღმოჩნდა. ჟურნალისტებმა ზელენსკის „მონიკა ზელენსკი“ შეარქვეს.

თეთრ სახლში, ფაქტობრივად განგაში გამოაცხადეს, რადგან გახშირდა საიდუმლო ინფორმაციების გაჟონვა. დონალდ ტრამპმა უსაფრთხოების სამსახურს კატეგორიულად მოსთხოვა სასწრაფოდ გამოიკვლიონ ვინ ავრცელებს მისი ადმინისტრაციიდან საიდუმლო ინფორმაციებს. ამასოაში კი ტრამპის და დემოკრატების ჭიდილი ახალ ფაზაში გადავიდა. მთავარია პოლიტიკურ დისკუსიებს არ გასცდეს და სამოქალაქო ომში არ გადაიზარდოს. ამას უკვე ექსპერტები აცხადებენ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.

„ნისლიან ალბიონზე“ შიდა პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო მას შემდეგ დაიძაბა, რაც უმაღლესმა სასამართლომ პრემიერ მინისტრის ბორის ჯონსონის გადაწყვეტილება დროებით დაეთხოვა პარლამენტი უკანონოდ სცნო. უფრო მეტიც, ჯონსონი დედოფლის მოტყუებაშიც დაადანაშაულეს, რაც შეიძლება კარიერის ფასადაც დაუჯდეს.

გია ბურდული
551 71 27 07



# გინდა დასძლიო დეპრესია? იმოქმედე! მიხედე საქმეს!

მეცნიერები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები მიგვითითებენ ერთ ყურადსაღებ ჭეშმარიტებაზე, თუ კაცობრიობა კარგავს საერთო საკაცობრიო ღირებულებებს, რომლებიც მას აკავშირებენ როგორც ერთიან ორგანიზმს, ეს იწვევს დამანგრეველ მსოფლიო კრიზისებს. ანალოგიურად ცალკეული პიროვნებაც თუ დაკარგავს ცხოვრების აზრს და მიზანს ის ეფლობა საკუთარ დაცლილ სამყაროში, რომელშიც, წარმოიშობა დეპრესია. ამის გამო სერიოზული მეცნიერები ადამიანის გაჯანსაღების წყაროსა და საფუძველს ადამიანებს შორის თბილ ურთიერთობაში ეძებენ. მაგალითად, ექიმები ბ.მიურრეი და ა.ფორტინბერრი გვთავაზობენ, რომ უნდა ვუმკურნალოთ არა ცალკეულ პიროვნებას, არამედ საზოგადოებას, რომელიც თავისი უგულობით, გათიშულობითა და აგრესიულობით წარმოშობს დეპრესიის წინაპირობას. ხოლო ავსტრიელი ფსიქოლოგი ვ. ფრანკი ამტკიცებს, რომ მარტოდ დარჩენილი ადამიანი საკუთარ გრძნობებში გაუთავებელი ქექვით მხოლოდ აძლიერებს დეპრესიას. ის იწყებს „ღია კარების მტვრევას“ და ვერ გებულობს, რომ კარები შიგნით კი არა არამედ გარეთა მიმართულებით იღება. დეპრესია სახიფათოა თავისი დამანგრეველი თვისებების გამო. ხშირ შემთხვევაში დასაწყისში მას სერიოზულად არ აღიქვამენ. იმავდროულად მოკლე ხანში ამ სენის მატარებელი ნამდვილ „ჯოჯოხეთში“ ხვდება, ცხოვრებას ის აღარ უყურებს სრულ მრავალფეროვნებში, სულიერ სამყაროში ექმნება ავადმყოფური სიცარიელე, რომელსაც ვერ იშორებს დღე-ღამის განმავლობაში. ამ მდგომარეობაში ძილიც კი არანორმალური ხდება. ადამიანი კარგავს ცხოვრების აზრს და ნებისმიერი ქმედების მოტივაციას. ამ სენით დატყვევებულს შეუძლია მთელი დღე იჯდეს ერთ და იმავე ადგილას, დაუსრულებლად უყუროს კედელს, ჩაეფლოს საკუთარ ფიქრებში და ვერ ამჩნევდეს როგორ მიდის დრო. ის უარყოფს ახლობელი ადამიანის დახმარებას, რაც ართულებს მასთან კონტაქტს. ცხოვრებისეული მოთხოვნილებები კარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. ყველაზე სახიფათო, განსაკუთრებით მძიმე ფორმის დეპრესიაში — ეს არის სუიციდზე ფიქრი, რომელიც ცხოვრების ყველა პრობლემის და უაზრო არსებობის პრობლემის ერთიანად გადაწყვეტის ერთადერთ გზად ეჩვენება. მედიცინა ეძებს ახალ-ახალ საშუალებებს. ფარმაცევტები გვთავაზობენ გამოსავალს ახალი თაობის ანტიდეპრესანტების სახით, ფსიქიატრები და ფსიქოთერაპევტები — ჯგუფურ და ინდივიდუალურ უახლეს პრაქტიკულ მეთოდებს, ფსიქოანალიტიკოსები — შინაგანი მექანიზმების ამოძრავების და შეგულიანების ამოქმედების მეთოდიკებს, ექსტასენსები გვპირდებიან აურის კორექტირებას, მკითხავები და შამანები სულიერი სამყაროს განწმენდას. მაგრამ ნებისმიერი ეს შეთავაზება შეიძლება უსუსური გამოდგეს დეპრესიასთან ბრძოლაში. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ დეპრესია თურმე მხოლოდ ჩვენი ეპოქის ნიშანი არ ყოფილა. ადამიანს ის უძველესი ხანიდან



მოჰყვება. დეპრესიის მახასიათებლები აღწერილია ძველი ეგვიპტეს სამედიცინო ტრაქტატში, რომელიც ებერსის პაპირუსის სახელწოდებითაა ცნობილი. მის თანამედროვე განმარტებას დიდ წილად შეესატყვისება ძველ დროში შემოღებული ცნება — მელანქოლია, რომელიც ოთხ განწყობილებათა შორის ჰიპოკრატემაც დაასახელა. დეპრესიის გამომწვევი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიოლოგიური ან ფსიქო-სოციალური ფაქტორი: სტრესი, მარტოობა, განქორწინება, ახლობლის დაკარგვა და უბრალოდ ყოველდღიურობა, რომელშიც სულ უფრო მეტად კლებულობს ადამიანური სითბო და ადამიანების დამაკავშირებელი ღირებულებები. მისი გამომწვევი მიზეზის, ამოსავალი წერტილის ცალსახა დადგენა არც თუ მარტივია. კონკრეტული მიზეზის უჩინარი ხასიათი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს საშინელ ფანტომთან, რომელიც მალულად შეეპარა ადამიანს: გუშინ ის მუშაობდა, აწყობდა გეგმებს, ოცნებობდა, მხიარულობდა მეგობრებთან და უეცრად! ... დაეწყო დაღლილობის შეგრძნება. ვერ მოასწრო ამის გააზრება „დაღლილობა“ კი უკვე აპათიად იქცა. გუშინდელ სიცოცხლით აღსავსე და ცხოვრების მოყვარულ ადამიანს არ სურს და არც გამოსდის საყვარელ სამსახურში საქმიანობა, მეგობრებთან შეხვედრა და ურთიერთობა, ყოველდღიურად აუცილებელი საქმის კეთებაც უჭირს და აღარ უნდა, საჭმლის ჭამა, პირის დაბანა, ტელეფონის ყურმილის აღება და პასუხის გაცემა. ადამიანმა ჯერ ვერ მოასწრო დამთრგუნავი — „არ მსურს“ მიზეზებში გარკვევა და ის უკვე ეფლობა „არ შემიძლია“-ში. ფიზიკურად ძალგამოცლილს და შეძრწუნებულს უჩნდება შეგრძნება ვითომ სიცოცხლე ეცლება ხელიდან და ხშირ შემთხვევაში გარე ფაქტორებზე რეაქცია რეაქტიული დეპრესიის ხასიათსაც ღებულობს. დღეს, ვერავინ იტყვის, რომ მისთვის სრულიად უცნობია დეპრესიის მცირე გამოვლენაც კი. ცხოვრებაში აღმაფრენისა და ვარდნის შეგრძნება ალბათ ყველასთვის ცნობილია. დეპრესია კი ამ ვარდნის ყველაზე ქვედა წერტილში გვხვდება, როდესაც შექმნილი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლოდ გვეჩვენება. რა მარტივად იქნებოდა საქმე, დეპრესიის მხოლოდ ერთი სახე რომ არსებობდეს, ვთქვათ, მხოლოდ კლასიკური ფორმა, რომელიც ხასიათდება მოქმედების გადაწყვეტილებებისა და აზრების დამუხრუჭებით, ყველა სხეულებრივი ფუნქციის ცვლილებით, რაც მიგვანიშნებს რაღაც გლობალურ ჰორმონალურ ძვრაზე, ან იქნებ რაღაც ატავისტურ დაბრუნებაზე ზამთრის ძილისაკენ, ოღონდ როცა მარტო სამოთხეს სძინავს. მაგრამ არა, დეპრესიის რეალობა უსასრულო ჯოჯოხეთური სიჭრელეა სივრცესა და დროში, ტანჯვათა მხოლოდ სუმბურული, ცვალებადი შეხამებები. აი, აღგზნებული, აბორგებული, მღელვარე დეპრესია — არცერთი მშვიდი წუთი, გაუთავებელი წრიალი. ან, აი, გაღიზიანებულ-მობუზღუნე — ჩვეულებრივ მომაბეზრებლობას რომ ესაზღვრება. ესეც თქვენი მტანჯველ ფიზიკურ შეგრძნებათა მასაში გახვეული დეპრესული ჯოჯოხეთი.

და მაინც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ვარდნას ახალი „აღმასვლაც“ შეიძლება მოჰყვეს, ამისთვის უნდა დავძლიოთ ჩამძირავი თვითგვემა, გადავდგათ პირველი ნაბიჯი, გაორმაგებული ძალით დავიწყოთ ქმედება და გავითავისოდ, რომ აღმაფრენა კვლავაც შესაძლებელია. დავიწყოთ იმით, რომ საკუთარ თავს დაუსვათ კითხვა — ბოლო დროს როგორ მიდის საქმე ნებისმიერ ჩამოთვლილ სფეროში? რამდენად გაწყობთ არსებული მდგომარეობა? თუ უფრო განსხვავებულის დანახვას ისურვებდით? იმის შემდეგ, რომ ამის თაობაზე საკუთარ თავს წარუდგენთ მცირე ანგარიშს, დასვით შემდეგი კითხვა: „რა მოლოდინები გამაჩნია (მქონდა) ამ სფეროში?“მაგალითად, ექსპერიმენტისთვის თქვენ აირჩიეთ საქმიანი სფერო, ანუ საქმიანობა სამსახურში და ამ სფეროში სიტუაცია ისე არ ყალიბდება, როგორც გსურდათ. კერძოდ, თქვენ ვერ აღწევთ მაქსიმუმს და ბოლომდე ვერ იყენებთ საკუთარ შესაძლებლობებს. მოლოდინების თაობაზე კითხვას თუ დაუსვამთ საკუთარ თავს, შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ ამ სფეროში ყოველთვის, გამოკვეთილად თქვენ მხოლოდ სირთულეს ელოდებოდით: ახლობელიც გეუბნებათ იმის შესახებ, რომ ამ სფეროში ძნელია რამის მიღწევა და თქვენ მას უსმენთ, ხელმძღვანელიც სათანადო პატივს არ გცემთ და არ გიწევთ ანგარიშს იმდენად, რამდენადაც ეს სასურველია თქვენთვის, ისიც მიგაჩნიათ, რომ ახლანდელი სამსახური არ გიქმნით პოტენციალის რეალიზაციისთვის საჭირო პირობებს. ანუ საქმიანობის შედეგი — პასუხობს თქვენს მოლოდინს. ახლა კი მოდით სხვა ტიპის, საწინააღმდეგო მაგალითი და სულ სხვა სფერო განვიხილოთ. დაუშვათ, რომ თქვენ კმაყოფილი ხართ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობით: თუ ავადმყოფობთ — მხოლოდ ძალიან იშვიათად და მსუბუქად, წამლებს არ ღებულობთ, ექიმებს



იშვიათად მიმართავთ და არაფერს არ უჩივით, იმავდროულად თქვენი თანატოლების ნაწილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გააჩნიათ. ამ სურათის ფონზე ჯანმრთელობის მიმართ თუ გადახედავთ საკუთარ მოლოდინებს შესაძლოა გაოცებულიც დარჩეთ როდესაც აღმოაჩენთ, რომ საკუთარ თავს ყოველთვის ძალიან ჯანმრთელ ადამიანად თვლიდით, ყოველგვარი ქრონიკული დაავადებების ან მათ მიმართ ყველანაირი მიდრეკილების გარეშე და მოლოდინები მხოლოდ ამ სახის გაგაჩნდათ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინებსა და ცხოვრებაში მომხდარს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საუბარი ნამდვილ, სიღრმისეულ მოლოდინებზეა და არა თვითშთაგონებაზე. ეს მოლოდინები თავისი არსით. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანში ჩადებულია მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ახდენს მის დამიზნებას საკუთარი თუ სხვების მოლოდინების რეალიზაციაზე. სწორედ ამის გამო გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენი ცხოვრება შესაბამისობაში მოდის პირადად ჩვენი და ჩვენი ახლობლების მოლოდინებთან. ამიტომ არა მხოლოდ არასასურველი, არამედ სახიფათოცაა იქონიოთ ნეგატიური მოლოდინები, ვინაიდან თქვენი ცხოვრება იმ დონემდე დაიმუხტება უარყოფითად, რა დონეზედაც თქვენ (ან თქვენს გვერდით მყოფი ადამიანები). რა გავაკეთოთ თუ ცხოვრების რომელიმე სფეროში გვსურს სიტუაციის შეცვლა? დაიწყეთ იმით, რომ უნდა ისწავლოთ უკეთესობის ლოდინი! ხომ ვიცით ყველამ, რომ „პლიუსის“ თუ „მინუსის“ ნიშნით სიტუაციის განვითარება ნებისმიერ შემთხვევაში დაახლოებით თანაბრადაა შესაძლებელი. ამის გათვალისწინებით კი გაუგებარია — რატომ უნდა გადავიხაროთ მაინც და მაინც პესიმისტურ ნახევრისკენ? ხომ შეგვიძლია გამოვიჩინოთ უკეთესისკენ მისწრაფება და პოზიტიურად ვიცხოვროთ? მოდით სვლა სწორედ აქედან დავიწყოთ! და ეს მოძრაობა იმ სფეროებიდან დავიწყოთ, სადაც საქმე ყველაზე უფრო დისჰარმონიულად ვითარდება და შორდება თქვენს იდეალებს. ამ სფეროში მოლოდინების შეცვლის შემდეგ ძალიან მალე დაინახავთ დადებით შედეგებს, თქვენში უფრო სწრაფად განმტკიცდება რწმენა ოპტიმისტური მოლოდინების მიმართ... და ბოლოს, სპეციალისტების აზრით, დეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე კარგი საშუალებაა საქმის კეთება. კარგად ჩამოყალიბდი, გინდა თუ არა გამოხვიდე, მაგ მდგომარეობიდან, თუ გინდა, მიხედე საქმეს. საღი აზრით შეხედე სიტუაციას, თუ რაიმე პრობლემის გამო დაგეწყო დეპრესია და ის პრობლემა გადაუჭრელია, ისწავლე მასთან ერთად ცხოვრება. არ დაგავიწყდეს, ეს მაინც დროებითია, რადგან დროთა განმავლობაში აქტუალობას მაინც დაკარგავს. მაგრამ ამის გამო დაგროვილმა გაუკეთებელმა საქმეებმა შეიძლება უფრო დიდი პრობლემები გაგიჩინოს. შენი სიცოცხლისუნარიანობითა და ქმედებებით დააჩქარე ეს პროცესი. მიხედე საქმეს.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**

2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?**

— იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება: სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში — 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი — 6 თვე.

* * *

**— გარდამეცვალა მამა. მივიღე მისი ქონება, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრემ. აღმოჩნდა, რომ მამაჩემს ჰყოლია მოვალე, რომელმაც მომთხოვა მე ვალის გადახდა, ამასთან წარმომიდგინა მათ შორის დადებული სანოტარო წესით დადასტურებული სესხის ხელშეკრულება. მე ამ ვალის შესახებ არაფერი ვიცოდი. რამდენად სამართლიანია ეს? არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?**

— დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484–მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

* * *

**— ჩემმა ახლობელმა მოიხადა პირობითი მსჯავრი. ითვლება თუ არა იგი ნასამართლეობის მქონე პირად?**

— აღარ ითვლება.

ამ სახის შეკითხვა ხშირად შემოდის ჩვენს რედაქციაში. ამიტომ სრულყოფილი ინფორმაციისთვის წარმოგიდგენთ შესაბამის ნორმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

**მუხლი 79. ნასამართლობა**

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას



სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.



* * *

**— განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

— დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორი პირობა: 1/ ორივენი თანახმა უნდა იყოთ განქორწინებაზე და 2./ არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

* * *

**— მაინტერესებს განზრახ მკვლელობის დამამაძიმებელი გარემოებები.**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი მთლიანად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას. კონკრეტულად:

**მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში**

1. განზრახ მკვლელობა:

ა) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

ბ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. განზრახ მკვლელობა:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;

ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;

გ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

დ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

დ1) გენდერის ნიშნით;

ე) ჯგუფურად;

ვ) ოჯახის წევრის მიმართ, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. განზრახ მკვლელობა:

ა) ორი ან მეტი პირისა;

ბ) განსაკუთრებული სისასტიკით;

გ) ანგარებით ან შეკვეთით;

დ) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

ე) არაერთგზის (გარდა ამ კოდექსის 110-ე-114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);

ვ) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ კოდექსში ახლო ნათესავად მიიჩნევა: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

* * *

**— როგორც გავიგე, სისხლის სამართლის კოდექსსი შემოტანილია ახალი მუხლი- ადევნება. რას ნიშნავს ადევნება და რა სანქციებია დაწესებული?**

— დიახ, არის ასეთი სიახლე სისხლის სამართლის კოდექსში. წარმოგიდგენთ შესაბამის სამართლის ნორმას სანქციებითურთ.

**მუხლი 1511. ადევნება**

1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის, —

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) ჯგუფურად;

გ) არაერთგზის;

დ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ჟურნალისტი **ნატო ხუციშვილი**
თანაუგრძნობს პირველი პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვას, ღირსეული მამულიშვილის და პატრიოტის

**თამაზ ბულაურის**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მის მეუღლეს ქალბატონ დონარა ჯანგირაშვილს შვილებთან ერთად

# რას შეეწირა კოტე მარჯანიშვილი და როგორ გახდა მისი უფროსი და თამარი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი?

სერაფიმე-ზნამენსკის სავანეში მოღვაწე დედა თამარის შესახებ საქართველოში ცოტას თუ სმენია. სამხედრო ინჟინერ ალექსანდრე მარჯანიშვილისა და თავადის ასულ ელისაბედ ჭავჭავაძის ქალიშვილი, დიდი ქართველი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის უფროსი და, ულამაზესი თავადის ასული, რომელმაც საერო ცხოვრება დატოვა, ქრისტეს გზას შეუდგა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი გახდა..

სქიმიღუმენია თამარი ყვარელში დაიბადა. მას მუსიკალური ნიჭი და შესანიშნავი ხმა ჰქონდა, ამიტომ კავკასიის ქალთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგის კონსერვატორიაში შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ მამით ობოლი, დედის გარდაცვალების გამო პეტერბურგიდან ყვარელში დაბრუნდა და მშობლიური მამულის მართვა იკისრა. ბოდბის მონასტრის მონახულებამ კი მისი მომავალი მთლიანად შეცვალა.



თამარი ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში შემთხვევით მოხვდა. სიღნაღში, დეიდასთან სტუმრად მყოფი, მეგობრებთან ერთად სეირნობისას, ბოდბის ტაძარს ეწვია, სადაც იმ დროს საღვთო ლიტურგია მიმდინარეობდა. კლიროსზე იდგა იღუმენია იუვენალია და ლოცვებს კითხულობდა. ტაძარში გამეფებულმა სულიერმა ატმოსფერომ თამარზე ისე იმოქმედა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა მონაზვნად აღკვეცილიყო და მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურისთვის მიეძღვნა. მით უმეტეს, რომ დაობლებულ ახალგაზრდა ქალს საერო ცხოვრებაში აღარაფერი აკავებდა, თუმცა ნათესავები მის გადაწყვეტილებას სასტიკად შეეწინააღმდეგნენ. როცა მიხვდა, რომ ნათესავებს ვერ დაარწმუნებდა, თამარი სახლიდან გაიქცა და თავი დედა იუვენალიასთან შეაფარა. იღუმენიამ შეძლო თამარის ნათესავები დაერწმუნებინა, რომ ახალგაზრდა ქალმა თავისი ცხოვრების გზა იპოვა და თხოვა მისთვის ხელი არ შეეშალათ.

თამარმა სამონასტრო ცხოვრების წესები მალე შეისწავლა და ყველას თავი შეაყვარა. არავის გაკვირვებია, როცა დედა იუვენალიას მოსკოვში გადაყვანის შემდეგ, ბოდბის მონასტრის წინამძღვარი დედა თამარი გახდა.

ბოდბის მონასტერი რუსეთის იმპერიის პირველი კლასის სავანეთა რიცხვში შედიოდა, თუმცა, ეს რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოსა და ქართული ეკლესიისათვის უმძიმესი წლები იყო, რადგან ქართულ ენაზე წირვა–ლოცვაც კი იკრძალებოდა. ამ ურთულეს პერიოდში, თამარ მარჯანიშვილის ძალისხმევით, ბოდბის ქალთა სასწავლებელში ქართული ენის სწავლება პირველიდან დამამთავრებელ კლასამდე სავალდებულო გახდა. მისივე დამსახურებით, ბოდბის მონასტერში წირვა–ლოცვა და გალობა ქართულად აღევლინებოდა. წინამძღვარი მუდმივად ზრუნავდა ქართველ პედაგოგთა და მოსწავლეთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სისტემატურად ითხოვდა ფულად დახმარებას საქართველოს საეგზარქოსოსა თუ რუსეთის სინოდისაგან.

1905–07 წლებში რევოლუციურად განწყობილი მთიელები თავს ესხმოდნენ საქართველოს მშვიდობიან მოსახლეობას, გლეხები ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის დედა თამარს და ისიც ყველას მონასტერში თავშესაფარს აძლევდა. 1907 წლის ნოემბერში თავდასხმა მოხდა ეტლზე, რომლითაც თამარი თბილისიდან ბოდბეში მიემგზავრებოდა. მეეტლე სასიკვდილოდ დაჭრეს, თუმცა დედა თამარსა და დანარჩენ მონაზვნებს ტყვიები არ მიეკარათ.

სინოდმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და დედა თამარი საქართველოდან გაიწვია, რაც ფაქტობრივად, გადასახლებას ნიშნავდა. დედა თამარმა ერთდროულად დაკარგა მშობლიური სავანე, სამშობლო და სულიერი შვილები, თუმცა რუსეთში მფარველად მოგვიანებით, წმინდანად შერაცხული იოანე კრონშტადტელი მოევლინა და ერთმანეთის მიყოლებით, სამი ჯვარი უბოძა. ამ წინასწარმეტყველების არსი მაშინ გაცხადდა, როცა დედა თამარი სამი მონასტრის იღუმენია გახდა. თავად თამარი იხსენებდა, რომ მხცოვანი მოძღვრის კეთილგანწყობამ ფრთები შეასხა და ენერგიით აავსო.

ქართველ იღუმენიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის იმპერატორის ოჯახთან, მათ შორის, ელიზავეტა რომანოვასთან, რომელსაც სასახლეში ხშირად სტუმრობდა.

პოკროვის რელიგიური თემის მონაზვნები მოწყალების დებად მუშაობდნენ, თუმცა დედა თამარს განდეგილობა სურდა. 1908 წელს, სერაფიმო–პონეტაევის მონასტერში ლოცვისას დედა თამარს ღვთისმშობელი გამოეცხადა და მონასტრის დაარსება ურჩია. 1910–1912 წლებში დედა თამარის ინიციატივით რუსულმა ეკლესიამ სერაფიმე–ზნამენსკის განდეგილ დედათა სავანე დააარსა. სავანეში მონასტრის არქიტექტურიდან დაწყებული, წესებით დამთავრებული, ყველაფერი ქრისტეს ცხოვრებას განასახიერებდა. თანამედროვეთა მოგონებებიდან ირკვევა, რომ ქართველი წინამძღვარი ირგვლივ სიკეთეს და სიყვარულს ასხივებდა. მრევლის წევრებზე დედასავით ზრუნავდა, თავად კი ფიცრის ლოგინზე იწვა რომელსაც ქათქათა ზეწარი ეფარა.

რევოლუციის შემდეგ დედა თამარს უამრავი განსაცდელის გადატანა მოუხდა. 1924 წელს ბოლშევიკებმა სერაფიმო-ზნამენკოს განდეგილ დედათა სავანე მიწასთან გაასწორეს. დედა თამარი 9 მონაზონთან ერთად პერხუშკოვოში, პატარა ქოხში დასახლდა,





სადაც 1931 წლამდე, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა.

დედა თამარი 1931 წელს დააპატიმრეს საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მოთავეებთან კავშირის ბრალდებით და ბუტირკის ციხეში ჩასვეს. უკვე 60 წლის სქიმიღუმენიას, 5 წლით გაციმბირება მიესაჯა. პატიმრობის დროს ის საოცარ სიმშვიდეს და სულიერ მხნეობას იჩენდა. მისი სიკეთე მასთან ერთად საკანში მყოფ ყველა პატიმარზე ვრცელდებოდა, მათ შორის, მძიმე დამნაშავებზეც, რომლებსაც უკანასკნელ ლუკმას უყოფდა. ციმბირში გადასახლების წინ დედა თამარს ციხის თითოეული პატიმარი გამოეთხოვა

სამი წელი მძიმე კლიმატურ პირობებში ყოფნამ, თბილი ტანსაცმლისა და წამლების არარსებობამ დედა თამარის ჯანმრთელობა შეარყია — მას ყელის ტუბერკულოზი დაემართა. მძიმე დაავადების მიუხედავად, ქართველი იღუმენია საკუთარ თავზე მეტად სხვებზე ზრუნავდა და თავისი სათნოებით ყველას კეთილად განაწყობდა.

ამბობენ, რომ კოტე მარჯანიშვილმა ყველაფერი იღონა დის გასათავისუფლებლად, კრემლის უმაღლეს ხელისუფალთაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ. «რეჟისორ მარჯანოვს ურჩევნია, სრულიად დაივიწყოს, რომ და ჰყავსო!»- ასეთი რჩევა მიიღო რეჟისორმა სერგო ორჯონიკიძისგან.

1933 წლის 17 აპრილს კოტე მარჯანიშვილი მოსკოვში, დის საქმესთან დაკავშირებით, ანატოლი ლუნაჩარსკის შეხვდა. არავინ იცის, რაზე ისაუბრეს და რით დასრულდა ეს საუბარი, თუმცა ცნობილია, რომ კოტე მარჯანიშვილი სახლში ცოცხალი აღარ მისულა და მანქანაში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

კოტეს მეგობრებმა მაქსიმ გორკიმ და პავლე კორინმა შეუძლებელი შეძლეს და 1934 წელს დედა თამარი გადასახლებიდან დაიხსნეს, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ მას საქართველოში ცხოვრების უფლება არ მისცა.

დედა თამარის უკანასკნელი ნავსაყუდელი ბელორუსიაში, სარკინიგზო სადგურთან პიონერსკაიასთან მდებარე პატარა სოფლის სახლი გახდა, სადაც თავის სულიერ შვილებს და ახლობლებს იღებდა.

მის სახლში სისადავე და ასკეტური ცხოვრების წესი იგრძნობოდა და უნაკლო სისუფთავე სუფევდა. უბრალო ხის სავარძელში მჯდარი ქალი დღის განმავლობაში უამრავ ადამიანს იღებდა და ყოველ მათგანს სითბოსა და ნუგეშს ჩუქნიდა.

67 წლის, მძიმედ დაავადებული დედა თამარი 1936 წლის 23 ივნისს, თავის კელიაში, ხატებს შორის აღესრულა. განსვენებულს წესი სერპუხოვის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე არსენიმ (ჟადანოვსკი) აუგო. დაკრძალეს მოსკოვში, ვედენოს მთაზე. მის საფლავზე თეთრი ჯვარია აღმართული, რომელშიც ღვისმშობლისა და ღირსი სერაფიმეს ხატებია ჩასმული. მის საფლავზე არის წარწერა: "რომელი მრწმენა, ცხონდესვე უკუნისამდე".

მოამზადა
**ნელი თორდიამ**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001